# ახალი განათლება

11-17.06.2020

№21 (895) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

# გამოცდების დრო და თარიღი ცნობილია



**ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსის ჩატარების თარიღები და წესები განისაზღვრა**

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, გამოცდებში მონაწილეთა ჯანმრთელობის მაქსიმალური დაცვისა და, ამავე დროს, საგამოცდო პროცესის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედ უწყებათაშორის საბჭოში შემავალი სამინისტროების კოორდინირებული მუშაობით, განისაზღვრა ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსის ვადები და უსაფრთხოდ ჩატარების წესები.

**2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები აბიტურიენტებისთვის 6 ივლისს დაიწყება და 25 ივლისს დასრულდება, საგრანტო კონკურსი 25 ივლისს გაიმართება, ხოლო სამაგისტრო გამოცდები 1-ელი აგვისტოდან 4 აგვისტოს ჩათვლით ჩატარდება.**

2020 წლის საგამოცდო პროცესის მაქსიმალურად სრულყოფილად წარმართვის მიზნით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან და სხვა უწყებებთან ერთად, კორონავირუსის პანდემიად გამოცხადების პირველივე დღიდან, აქტიური მუშაობა დაიწყო. შეიქმნა საორგანიზაციო ჯგუფი, რომელშიც ასევე ჩართულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, თბილისის მერია, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტი); სს ?ელასი და სს ?ნერგო-პრო ჯორჯია. უწყებები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მუდმივ რეჟიმში მუშაობენ საგამოცდო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.

⇨ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების შესაბამისად, გამოსაცდელთა და მეთვალყურეთა დაშვება მოხდება მხოლოდ ყოველი საგამოცდო სექტორის ფართობის 50%-ზე. საგამოცდო ცენტრების თითოეულ სექტორში, წელს, 10 გამოსაცდელზე მეტი არ დაიშვება. ყოველი სამუშაო მაგიდა, წინა მხრიდან, აღჭურვილი იქნება გამჭვირვალე დამცავი ფარით/ბარიერით; მაგიდებს შორის, სიგანეში, დაშორება იქნება 2 მეტრი, ერთმანეთის მიმდევრობით განლაგებულ მაგიდებს შორის მანძილი კი – 1 მეტრი.

⇨ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, თითოეულ გამოცდაზე, ყოველ გამოსაცდელს შესთავაზებს პირბადეს (სურვილის შემთხვევაში, გამოსაცდელს შეუძლია მოიტანოს საკუთარი პირბადე). აბიტურიენტები საგამოცდო ცენტრის შესასვლელშივე გაივლიან თერმოსკრინინგს.

**გამოსაცდელებმა უნდა იხელმძღვანელონ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მკაცრად განსაზღვრული მითითებებით:**

⇨ მაქსიმალურად დაიცვან სოციალური დისტანცია;

⇨ მუდმივად ეკეთოთ პირბადე როგორც გამოცდებზე რეგისტრაციის დროს, ასევე გამოცდების მიმდინარეობისას;

⇨ მითითების შემთხვევაში, დაიმუშაონ ხელები ადგილზე განთავსებული სადეზინფექციო ხსნარით;

⇨ თან იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და საგამოცდო ბარათი; ასევე, სურვილის შემთხვევაში, სამედიცინო პირბადე, წყალი პლასტმასის ბოთლით და გელიანი (ე.წ. ტუშის) შავი ფერის კალამი 0,5-0,7 მმ. ბურთულიანი წვერით.

ამ ჩამონათვალის გარდა, სხვა პირადი ნივთების მოტანა არ არის რეკომენდებული, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ნივთებიდან დაავადების გადატანის/გავრცელების რისკი. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სთხოვს გამოსაცდელებს, გაითვალისწინონ ეს რეკომენდაციები.

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში (ნიღბის მოხსნა, სოციალური დისტანციის დარღვევა და უარი ხელების დამუშავებაზე), აბიტურიენტი მიიღებს შენიშვნას, ამ წესების ხელმეორედ დარღვევის შემთხვევაში კი, მოიხსნება გამოცდიდან.

უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, საგამოცდო სივრცეების კონდიციონერით გაგრილება მოხდება მხოლოდ სესიის დაწყებამდე და გამოირთვება გამოსაცდელების დარბაზში შესვლის წინ. სესიებს შორის პერიოდში ადგილზე ჩატარდება სპეციალური სადეზინფექციო სამუშაოები.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ ასევე შემუშავდა: საგამოცდო ცენტრებიდან მიღებული ნამუშევრების უსაფრთხოდ დამუშავების, საგამოცდო ცენტრების დალაგების, სანიტარიული კვანძის/საპირფარეშოების დალაგება/დეზინფექციის, ცენტრის პერსონალის მუშაობის, თერმოსკრინინგისა და გამოსაცდელთა გამოცდაზე დაშვების პირობები. აღნიშნული რეკომენდაციები იხილეთ ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი კიდევ ერთხელ შეახსენებს გამოცდის ჩაბარების მსურველებს, რომ სიახლეები შეეხება მხოლოდ გამოცდებზე მოქცევის წესებს და არა მათ ფორმატს ან შინაარს.

**წინა წლების მსგავსად, საგამოცდო ცენტრები იქნება შემდეგ ქალაქებში:**

თბილისში, რუსთავში, გორში, ახალციხეში, თელავში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, ფოთში, ოზურგეთსა და ხულოში.

საგამოცდო ცენტრებში, მთელი საგამოცდო პროცესის განმავლობაში, იმუშავებენ სამედიცინო და პოლიციის პუნქტები. საგამოცდო პროცესი ჩაიწერება ვიდეოკამერებით.

⇨ **მასწავლებელთა კომპეტენციის დასადასტურებელი ტესტირების შესახებ ინფორმაციას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საზოგადოებას უახლოეს მომავალში აცნობებს.**

# მათ გარეშე ჩვენი ბავშვობაც არ იქნებოდა ასე ფერადი



*მახსოვს, როგორ ველოდი ზაფხულს, დასვენებას, თავისუფლებას და თავგადასავლებს. დროს, როცა თითქმის ყველაფრის გაკეთება შეგიძლია, არავინ არაფერს გაძალებს, ჭკუასაც ნაკლებად გარიგებენ. დღეებიც გრძელია, უზრუნველი და ფერადი. ზღვაც შენ გელოდება და მთაც, ტყეც და მდინარეც, დღეც და ღამეც. ზაფხულის მეგობრებიც ხომ სხვანაირად მხიარულები არიან, ზაფხულის თამაშებსაც სხვანაირი სილაღე და უდარდელობა ახლავს.*

*და საზაფხულო წიგნები?! თავად რომ ირჩევ და იმეგობრებ, ისინი ხომ სავალდებულო სახელმძღვანელოებს არ ჰგავნან, თითქოს მთელი წელი გელოდებიან, თავის დაუვიწყარი ამბებით, მხიარული და ფათერაკიანი თავგადასავლებით, რისი წყალობითაც ჩვენი სინამდვილეც უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი ხდება. რამდენი ოინი მისწავლია და გამომიყენებია ამ თავგადასავლების წყალობით. წიგნებიც გველოდებიან, რომ დაგვიმეგობრდნენ და მთელი ცხოვრება გვიმეგზურონ. არასდროს მიგვატოვებენ, ლხინშიც გაგვახსენებენ თავს და მძიმე დროსაც გაგვიწევენ დახმარების ხელს.*

*მაშინ ამ ყველაფრის ვერ ვხვდებოდი, წლები რომ გავიდა მერე მივხვდი. რამდენი რამ გამაგებინეს ერთ წამში, ერთი გვერდით თუ წინადადებით, თან ისე უცბად, რის გაგებასაც წლები დასჭირდება და რატომ უნდა ველოდოთ წლები.*

*აი, ისევ დადგა ზაფხული. ყოველი ზაფხულის დამდეგს, განსაკუთრებით მინდება ჩემს ბავშვობაში დაბრუნება იმ ბედნიერ დღეებთან და წიგნებთან, ისინი ხომ ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ და მათ გარეშე ჩვენი ბავშვობაც არ იქნებოდა ასე ფერადი.*

*ერნესტ ჰემინგუეის "მოხუცი და ზღვა", მარკ ტვენი და გურამ რჩეულიშვილი – ეს ის ნაწარმოები და მწერლები არიან, რომლებმაც მოზარდობისას ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს და გთხოვთ, რომ წაიკითხოთ.*

ბაბა ნახუცრიშვილი

კომპლექსური დავალება

# მნიშვნელოვანი სიტყვა განათლების რეფორმაში

ლალი ჯელაძე

***ერთი თვეც არ გასულა განათლების სამინისტროს, განათლების კოალიციის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ერთობლივი პროექტის დაწყებიდან, რომელიც iსკოლის ფარგლებში ხორციელდება, მაგრამ კომპლექსური დავალებების კრებულმა საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია მასწავლებელთა უმრავლესობაში და ბევრი მათგანი ახლა მოსწავლეთა შეფასებების ყველაზე ობიექტურ საყრდენადაც კი მიიჩნევს. ზოგადად, პროექტის მიზანი დისტანციური სწავლების ხელშეწყობა/გამრავალფეროვნებაა და სწორედ ამის გამო, კვალიფიციური ადამიანების მიერ, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, შექმნილი კომპლექსური დავალებები, კვირაში ერთხელ, EL.GE-ზე თავსდება და ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდომი ხდება.***

***რატომ არის მნიშვნელოვანი კომპლექსური დავალებები, როგორ უნდა იმუშაონ მასწავლებლებმა და მოსწონთ თუ არა მოსწავლეებს ამ ტიპის დავალებების შესრულება – ამ კითხვებზე სასაუბროდ შევარჩიეთ რესპონდენტები, რომლებიც უშუალო მონაწილეები არიან კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესის – ექსპერტი, მასწავლებელი და მოსწავლე.***



**ნიკო სილაგაძე**
***პროექტის „ახალი სკოლის მოდელი“ შინაარსობრივი კოორდინატორი და სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების ექსპერტი***

⇨ „კომპლექსური დავალება ცენტრალური სიტყვაა განათლების რეფორმისთვის – მას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ მასწავლებლებმა შეცვალონ მოქმედების სტილი საკლასო ოთახებში – საკლასო ოთახის დონეზე ძირეულად განხორციელებული რეფორმა კი მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას გულისხმობს.

იქიდან გამომდინარე, რომ სისტემისთვის კომპლექსურ დავალებებს ასეთი მნიშვნელობა აქვს, სასურველია ხარისხიანი კომპლექსური დავალებების ბანკიც არსებობდეს სისტემაში, რომლის გათვალისწინებითაც მასწავლებლები, ნიმუშებზე დაყრდნობით, თვითონვე შეძლებენ, ერთი მხრივ, ანალოგიების შექმნას (როგორც წესი, ამ მხრივ, ნიმუშებზე უკეთ არც ერთი გზამკვლევი არ მუშაობს) და, მეორე მხრივ, თვითონ იმ დავალებების გამოყენებას და საკუთარ პრაქტიკაზე მორგებას. ამ მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულების მოკავშირედ სამინისტროს გამოუჩნდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია – კოალიცია განათლება ყველასთვის, რომელმაც ასეთი ნაბიჯი გადადგა – პანდემიის ვითარებაში მოიზიდა დონორები და დაიქირავა მასწავლებლები, რომლებიც ათი საგნის მიმართულებით, პროექტის iსკოლა ფარგლებში, დაახლოებით, ერთი თვის განმავლობაში ქმნიან კომპლექსური დავალებების ძალიან კარგ ნიმუშებს.

კომპლექსური დავალების გავლენა მოსწავლეზე ძალიან დიდია. კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები პირდაპირდაპირ კავშირშია ამ დავალებებთან.

⇨ ბავშვი, როდესაც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობს, აქტიურია, ანუ თვითონ არის ჩართული შემოქმედებით პროცესებში, რაც აუცილებელი წინაპირობაა იმისა, რომ ცოდნა მიიღოს. პასიურ მდგომარეობაში ბავშვი ცოდნას არ იღებს – ეს მნიშვნელოვანი პრინციპია.

⇨ მეორე მნიშვნელოვანი პრინციპი არის ის, რომ კომპლექსური დავალებები საშუალებას გვაძლევს, მოსწავლეს ნაცნობი ფენომენიდან უცნობის სწავლაში დავეხმაროთ. თვითონ კომპლექსური დავალების პირობა: შექმენი ბუკლეტი, ცხრილი ან დადგი დრამა – ეს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტია, რომლის მსგავსი რამ მანამდეც გაუკეთებია სხვადასხვა საგანში ან, თუნდაც, ბაღში... მაგრამ, როცა მას ამ ტიპის დავალებების ფორმატში სასწავლო მასალის გააზრებას ვთხოვთ, ეს ტრანსფერი სწორედ ნაცნობი ფენომენიდან უცნობის სწავლაში ეხმარება. ეს კი, აუცილებელი პრინციპია კონსტრუქტივისტული სწავლებისა. სწავლა უნდა იყოს ნაცნობიდან უცნობისკენ – წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდებოდეს ახლის კონსტრუირება.

⇨ მესამე მნიშვნელოვანი პრინციპი, რაც ამ ფორმატის დავალებების შესრულებასთან არის კავშირში, სასწავლო მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებაა. კომპლექსური დავალების პროექტებით ყოფით ცხოვრებას უკავშირებენ იმას, რაც თეორიულად ისწავლეს, გამოდის, რომ აქცენტი კეთდება არა მარტო რაიმეს დამახსოვრებაზე ან პროცედურებზე, არამედ მის სიღრმისეულ გააზრებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ცოდნის (ცოდნის სამივე კატეგორიაზე – დეკლარატიული, პროცედურული და ფუნქციურ-პირობითი) ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებას უწყობს ხელს.

⇨ მეოთხე პრინციპი – ამ დავალებების შერულებისას დიდი ყურადღება ექცევა სწავლის სწავლას. მხოლოდ ის კი არ არის მნიშვნელოვანი რას ვასწავლით, არამედ — როგორ სწავლობს ბავშვი. ამ დავალებებზე მოსწავლე საკმაო ხანს მუშაობს, მასწავლებელი ესაუბრება, რეკომენდაციებს აძლევს როგორ გააკეთოს. სწავლების სტარტეგიებზე მუშაობა კი, თანამედროვე განათლების სისტემისთვის უმნიშვნელოვანესი ასპექტია.

⇨ და მეხუთე – ეს დავალებები ცოდნათა ორგანიზებას და უთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს, რაც მხოლოდ ჩვენი სკოლის პრობლემა არ არის, მსოფლიო პრობლემაა. ბავშვი უამრავ რამეს სწავლობს, მაგრამ მერე ამის ერთმანეთთან დაკავშირება უჭირს. მაგალითად, შეიძლება ვერ მიხვდეს, რომ „აბო თბილელის წამებაში“ ნახსენები არაბები, იგივე არაბები არიან, რომელთა შესახებაც ისტორიის წიგნებში სწავლობენ. ამ შემთხვევაში, კომპლექსური დავალება სწორედ ამ დანაწევრებული ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და კომპლექსურად აღქმას უწყობს ხელს – გამამთლიანებლის როლს ასრულებს.

ხუთივე საგანმანათლებლო პრინციპი ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია როგორც კონსტრუქტივისტული, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსი. ცოდნათა დაკავშირება ან გამთლიანება, სწავლის სწავლა, აქცენტი სამივე კატეგორიის ცოდნაზე, ნაცნობიდან უცნობისკენ სვლა და აქტიური შემოქმედებითი პროცესები, მოკლედ, ეს ფენომენი ისეა მოფიქრებული და დალაგებული კომპლექსურ დავალებებში, რომ თუნდაც ძალიან მარტივი დავალებით მარტივ საკითხზე – სწავლების ეს პარადიგმა რეალიზებული გამოდის საკლასო ოთახში.

კომპლექსური დავალება „ნამდვილი“ ცოდნის შეფასების საშუალებას იძლევა. მართლა იცის ბავშვმა? ალბათ, გსმენიათ ეს დილემა. შეიძლება იცის ისეთი რამ, რაც ხვალ აღარ ემახსოვრება, ასეთი ცოდნა უხარისხოა. აი, კომპლექსური დავალება კი, ბავშვს არც მოტყუების საშუალებას აძლევს (იმიტომ რომ თვითონ არის საკუთარი შექმნილის პრეზენტატორის როლში) და ვერც ვერაფერს დამალავს. ყველაზე მთავარი – იქ რაც წარმოჩნდება, ეს არის ნამდვილი ცოდნა. თუ გვინდა, რომ თავი არ მოვიტყუოთ და მოსწავლის ნამდვილი ცოდნა შევაფასოთ, კომპლექსური დავალება ამის მშვენიერ შანსს იძლევა და მჯერა, რომ ამ სემესტრშივე ფართოდ იქნება გამოყენებული მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად. უმთავრესად, მაინც, განმავითარებელი შეფასებისთვის, რომ მივხვდეთ რა არ შეეძლო მას გუშინ და რა შეუძლია დღეს და არა იმისთვის, რომ ჩავუსაფრდეთ და ნიშანი დავაკლოთ. თუმცა, ცხადია, განმსაზღვრელი შეფასებითვისაც, ანუ ნიშნიანი შეფასებისთვისაც ნამდვილად შეიძლება ამ დავალებების გამოყენება.

როდესაც მასწავლებელი სასწავლო საკითხს დააანონსებს, იქვე, ამ საკითხთან ერთად, უნდა დააანონსოს კომპლექსური დავალებაც, რომლის შესრულებითაც ბავშვს შეეძლება ამ საკითხთან დაკავშირებით შეძენილი ცოდნის დადასტურება. თუმცა, ამ დავლებებით მხოლოდ ცოდნის შემოწმება არ ხდება, ასევე გადამწყვეტია ცოდნის აგება-კონსტრუირების თვალსაზრისითაც. მასწავლებელმა თავიდანვე იცის, როგორი უნდა იყოს დავალება, რა დრო დასჭირდება ამას – ოთხი, ხუთი, შვიდი გაკვეთილი. ამ ხნის განმავლობაში ის მოსწავლეებს ეხმარება, ამზადებს, რომ დავალება კარგად შეასრულონ. ყურადსაღებია ისიც, რომ დროს არავინ უკონტროლებს და უთვლის, მთავარია, ეს დავალება კლასში ყველა მოსწავლემ ხარისხიანად შეასრულოს. მხოლოდ ამის შემდეგ გადავლენ ახალ საკითხზე, შესაბამისად, ახალი კომპლექსური დავალებისთვის დაიწყებენ მზადებას.

როდესაც მასწავლებლები, „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, კურიკულუმებს ქმნიან, წინასწარ განსაზღვრავენ კომპლექსური დავალებების რაოდენობას. მაგალითად, თუ მასწავლებელი ათი საკითხის სწავლებას გეგმავს კლასში, შესაბამისად, 10 კომპლექსურ დავალებას განვახორციელებთ. ეს ხდება საათობრივი დანაწილების ეკვივალენტურად იმიტომ, რომ ხუთი-ექვსი გაკვეთილი მაინც სჭირდება ხოლმე თითო დავალების შესრულებას. თუმცა, დროს ასე მკაცრად არ უყურებენ, რადგან უმჯობესია, ათიდან შვიდი შესრულდეს, მაგრამ ხარისხიანად. აქცენტი სწორედ ამაზე კეთდება – ყველა მოსწავლემ მეტ-ნაკლებად სრულყოფილად შეასრულოს კომპლექსური დავალება.

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში ის ხუთი საგანმანათლებლო პრინციპია მოთხოვნილი, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ და ყველა სკოლამ უნდა სცადოს ამის გაკეთება. „ახალი სკოლის მოდელი“ მესამე თაობის ესგ-ს დანერგვაზეა ორიენტირებული, უშუალოდ მის საკლასო ოთახში რეალიზებაზე მუშაობს. ამიტომაც მოხდა, პროექტის ფარგლებში, კომპლექსური დავალების ასეთი ფორმატის შემუშავება და იმ ტიპის კურიკულუმების შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების პრაქტიკულ რეალიზებას. პროექტი, 2024 წლამდე, ყველა სკოლას მოიცავს, სექტემბრიდან კი, უფრო მეტად მასობრივი გახდება, ვიდრე ეს მიმდინარე სასწავლო წელს იყო. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია iსკოლის რესურსი, რომლით სარგებლობაც ყველას დღესვე შეუძლია.



**ლელა წურწუმია**
***გორის №12 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი***

⇨ კომპლექსური დავალება მოსწავლის მიერ შემოქმედებითად შექმნილი პროდუქტია და ასეთი ტიპის დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლე თვითონაც შემოქმედებითად უდგება ამ პროცესს და ხდება ცოდნის აღმომჩენიც. ამავე დროს, მას კრიტიკული აზროვნების უნარი უვითარდება და შესაძლებლობა აქვს თავისი პროდუქტის გასიტყვების. უფრო მარტივად რომ ავხსნა, ეს არის დავალება, რომლის ფარგლებშიც, მოსწავლე დამოუკიდებლად იღებს ცოდნას სხვადასხვა მიმართულებით, შემდეგ აერთიანებს და, გაანალიზების საფუძველზე, შემოქმედებითად ქმნის კომპლექსური დავალების პროდუქტს, რომლის პრეზენტაციასაც შემდეგ თვითონ აკეთებს და, პარალელურად, ახდენს თვითშეფასებას. შექმნილი პროდუქტი შეიძლება იყოს ბუკლეტი ან პატარა სოციალური რეკლამა, ან სულაც რაიმე მიმართვა, რომელიც კონკრეტული პრობლემის გადაჭრას ემსახურება და ა.შ.

თემა შედგება ცნებებისგან, ყველა ცნება კი – თავისი კომპლექსური დავალებისგან. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეს კომპლექსური დავალების არსს – მაგალითად, შექმენი ბუკლეტი ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებისთვის. მოსწავლე მუშაობს ამ თემაზე. ჯერ, რა თქმა უნდა, მოიძიებს მასწავლებლის მიერ მითითებულ მასალებს (რომელსაც ჩვენ ლინკების სახით ვუთითებთ, რადგან ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა იმუშაოს დამოუკიდებლად). მასწავლებელი აუცილებლად აძლევს მითითებებს, რა უნდა გამოყოს, რაზე გააკეთოს აქცენტები – რა არის საჭირო იმისთვის, რომ საზოგადოება გახდეს ინფორმირებული ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. შემდეგ, მოსწავლე თავისი ფანტაზიით აგებს დავალებას, ამ შემთხვევაში, აღნიშნულ ბუკლეტს აფორმებს, ათავსებს ინფორმაციას, რომელიც მასწავლებლის მითითებით მოიძია. თავისთავად, მოსწავლე ამ დავალებას არ ქმნის ერთ ან ორ დღეში, დავალების შესაქმნელად ეტაპობრივად ემზადება და ხანგრძლივად მუშაობს. საბოლოოდ, დასრულებულ მასალას/პროდუქტს აცნობს კლასს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია – კლასში მსჯელობა. თავის თავს კრიტიკულად უყურებს, ცდილობს ობიექტურად შეაფასოს, ამ პროდუქტის შექმნის დროს, რა გაუჭირდა, რა იყო ადვილი, რა დასჭირდა იმისთვის, რომ სრულყოფილი ყოფილიყო პროდუქტი – ამით აკეთებს თვითრეფლექსიას. შემდეგ ისმენს სხვების პრეზენტაციას, აანალიზებს და საკუთარ თავს უსვამს შეკითხვას – მე რომ თავიდან ვიწყებდე ამის კეთებას, რას შევცვლიდი, რას გავაუმჯობესებდი, რა იქნებოდა უკეთესი, ჩემს ბუკლეტში რომ შემეტანა ა.შ.

პანდემიის პერიოდში ჩვენი კომუნიკაცია მოსწავლეებთან შეზღუდულია (20-25 წუთი გრძელდება ხოლემე ონლაინ გაკვეთილები), ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლმა ისეთი ტიპის დავალება მისცეს მოსწავლეს, რომელსაც თავად შეასრულებს დამოუკიდებლად. ის მითითებები,

## კომპლექსური დავალება

რომელსაც კომპლექსური დავალებების პირობაში ვაძლევთ მოსწავლეებს, მკაფიო რეკომენდაციებია, როგორ შეასრულონ დავალება და რა გამოიყენონ.

⇨ საერთოდ, კომპლექსური დავალების პირობის ჩარჩო სამი ნაწილისგან შედგება: ერთ დავალებაში თვითონ კომპლექსური დავალების პირობას ვაძლევთ; შემდეგ ნაწილში ხაზგასმულია, რას ვითხოვთ მოსწავლისგან, რას უნდა მიაქციოს დავალების შესრულებისას ყურადღება; მესამე ნაწილში ვწერთ იმ მითითებებს, რომლებიც დავალების შესრულების პროცესში უნდა გაითვალისწინოს მოსწავლემ – რა უნდა წარმოაჩინოს ნაშრომში თვალსაჩინოდ. ასევე მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური უნარების განვითარებასა და გამოყენებას მივაქციოთ ყურადღება, ამიტომ მოსწავლეებს ხშირად ისეთ დავალებებს ვაძლევთ, სადაც ციფრული რესურსის გამოყენებას შეძლებს.

⇨ მნიშვნელოვანია, მოსწავლეს დავალების შესასრულებლად მივცეთ ინსტრუქციები და არ დავტოვოთ ზღვა ინფორმაციის სივრცეში, სადაც გაუჭირდება შესაბამისი ინფორმაციის სწორად გამოყენება. ამიტომ, კომპლექსური დავალების შესასრულებლად, ვუგზავნით/ვუთითებთ იმ ლინკებს, რომლებიც მოსწავლეს ინფორმაციის სწორად მოძიებაში დაეხმარება. ამით მის დროსაც ვზოგავთ, რომელიც შეიძლება არასწორი ინფორმაციის ძიებაში გაეფლანგოს და, კონკრეტული ჰიპერლინკების დაკონკრეტებით, სწორ მიმართულებას ვაძლევთ სამუშაოდ. ხშირად, ამ ლინკებს მასწავლებლები თვითონ ვქმნით იმიტომ, რომ ჩვენი ხმით წარმოთქმული დავალების შესრულების ინსტრუქცია უფრო ზუსტია და სახალისოა მათთვის, განსაკუთრებით, პირველ-მეოთხე კლასებში.

თავისთავად, კომპლექსურ დავალებას კლასში ყველა მოსწავლე ასრულებს, პანდემიამდე, საკლასო ოთახში, ჯგუფებშიც ასრულებდნენ. „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, მასწავლებლები თვითონ ვქმნიდით კომპლექსური დავალების პირობას, ხოლო პროდუქტის შექმნელები არიან მოსწავლეები. ეს პროდუქტი აუცილებლად ხელშესახები უნდა იყოს.

ყველაზე მართალი პასუხი, რა მნიშვნელობა აქვს კომპლექსურ დავლებას, ჩემი აზრით, არის ის, რომ კომპლექსური დავალებები მოსწავლის ღრმა მეხსიერებაში რჩება.ნებისმიერი თემა როდესაც მუშავდება, ამ თემის ფარგლებში, მოსწავლეს ვაძლევთ კომპლექსურ დავალებას, ის რეალურად ფიქრობს და აზროვნებს, როგორ მიუდგეს შემოქმედებითად პროცესს.

ძალიან დიდხანს არ ავიწყდება თავისი შექმნილი რამ, ანუ ის, რაშიც შრომა ჩადო და რაზეც იფიქრა. მის ღრმა მეხსიერებაში რჩება კომპლექსური დავალებებისთვის განხორციელებული აქტივობები და ინფორმაცია, რომელიც მოიძია და დაამუშავა. ამავდროულად, ამ ტიპის დავალებები ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, უფრო და უფრო მეტი შემოქმედებითობა გამოაჩინოს, ინტერესი აღძრას და უბიძგოს, იაზროვნოს სხვაგვარად, თუნდაც, მაღალი სააზროვნო უნარებით. ყველაზე მთავარი კი, ჩემი აზრით, არის ის, რომ მოსწავლესთან მუშაობა საკლასო ოთახში უფრო ეფექტიანი ხდება. ბავშვი არ არის შეზღუდული – თავისუფალი და ლაღია, ამავე დროს, ამაყიც, როცა კლასის წინაშე გამოაქვს თავისი ნაფიქრით შექმნილი პროდუქტი.

საკლასო ოთახში პროცესი გაცილებით საინტერესოდ მიმდინარეობს – პირველ ნაწილში, მოსწავლეები ინდივიდუალურად მუშაობენ, მეორე ნაწილში კი, უკვე ჯგუფებში იკრიბებიან – ჯგუფი წარადგენს ნამუშევარს, განიხილავენ და გაკვეთილი ძალიან სახალისო პროცესი ხდება. ახლა, რაც ონლაინ სწავლებაზე გადავედით, ძირითადად, ციფრულ ტექნიკას ვეყრდნობით და, თავისთავად, დავალებების შესრულებისას, შესაბამის რესურსებს ვიყენებთ. მაგალითად, ხშირად ვიყენებთ რესურსს „ვსწავლობთ თამაშით“ და არა მხოლოდ ამ რესურსს, სხვადასხვა საშუალებებს, რომელიც პროდუქტის შექმნის შსაძლებლობას იძლევა. დისტანციური სწავლების დროს ეს ყველაფერი, ძირითადად, ინდივიდუალურად ხდება. თუმცა, დადებითი არის ის, რომ გაიზარდა მშობელთა ჩართულობა. კონკრეტული პროდუქტის წარდგენა და გასიტყვება, თიმსში, დაფის გაზიარებით ხდება ან ვიდეოჩანაწერს გვიგზავნიან მათ მიერ შესრულებული დავალების.

როგორც იცით, „ახალი სკოლის მოდელი“, დაწყებითების გარდა, უკვე საბაზო საფეხურზეც გადადის. ამ თვალსაზრისითაც, მასწავლებლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი რესურსია განათლების კოალიციის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ახალი ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტი, დისტანციური სწავლების ხელშეწყობისთვის შექმნილი ონლაინ პლატფორმა – el.ge-ზე განთავსებული კომპლექსური დავალებები. რეალურად, ჩვენ ახლა ვსწავლობთ კომპლექსური დავალებების შექმნას. შესაბამისად, ეს საიტი გვაძლევს მიმართულებას, თუ როგორი ტიპის უნდა იყოს კომპლექსური დავალების პირობა. მასწავლებლებს შესაძლებლობა გვეძლევა, სახელმძღვანელოდ გამოვიყენოთ – გავეცნოთ, გამოვიყენოთ და ანალოგიური შევქმნათ. ასევე, ამ პლატფორმის მთავარი ღირებულებაა ის, რომ თავად მოსწავლესაც შეუძლია, ჩამოტვირთოს დავალებები და დამოუკიდებლად გაეცნოს საჭირო მასალას, აქვეა თავმოყრილი რესურსები, რომელიც მასწავლებელსაც და მოსწავლესაც შეუმსუბუქებს ონლაინ სწავლა-სწავლების რეჟიმს, რომელიც, ცხადია, გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

როდესაც ჩვენს საკლასო ოთახში სიახლეს ვნერგავთ, მხოლოდ ერთ კონკრეტულ კლასზე კი არ ვფიქრობთ, არამედ პარალელურ კლასებზეც. ვითვალისწინებთ საერთო საჭიროებებს, რადგან ჩვენ მიერ შექმნილი დავალებები კოლეგებსაც და პარალელური კლასების მოსწავლეებსაც უნდა გამოადგეთ. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ამაზეც ვიფიქროთ. დანერგვისა და განხორციელების ეტაპზეც ერთმანეთს ვუზიარებთ აზრს, რამ იმუშავა, რამ არა, რომელი იყო წარმატებული. ამიტომ, ასეთი შეთავაზება, რასაც ახლა ეს საიტი აკეთებს, უმნიშვნელოვანესია მასწავლებლებისთვის და ვფიქრობ, ყველა კარგად გამოიყენებს ამ შესაძლებლობას, რადგან ძალიან კვალიფიციური სპეციალისტების მიერ შექმნილ რესურსზე გვაქვს ხელმისაწვდომობა, ეს საუკეთესო შესაძლებლობაა დავალებების გამოსაყენებლად და დასანერგად. ასეთი ტიპის დავალებები ნებისმიერი სკოლისთვის მნიშვნელოვანია, ვისთვისაც ხარისხიანი განათლება პრიორიტეტია, მით უფრო, როცა ეროვნული სასწავლო გეგმა გვავალდებულებს მსგავსი დავალებების დანერგვასა და განხორციელებას საკლასო ოთახში.



**სალომე მიქელაძე**
*თბილისის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური №42 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე*

⇨ კომპლექსური დავალებების ფორმატმა ძალიან დამაინტერესა, ჩამითრია კიდეც. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ახალია, განსხვავებულია და, ჩემი აზრით, ძალიან სახლისოცაა. შესასრულებლად კომფორტულია იმიტომ, რომ მასწავლებელი გითითებს რესურსებს, რომელიც გეხმარება დავალების შესრულებაში. მუშაობ ამ რესურსის მიხედვით და სულაც არ არის საჭირო რამე ზეპირად იცოდე. დავალების ასეთი ფორმატი დიდ როლს თამაშობს განვითარებაში იმიტომ, რომ ამ ერთი დავალებიდან რამდენიმე უნარის განვითარება ხდება, სხვადასხვა თვისებებისა და შესაძლებლობების ჩართვა გიწევს.

უბრალოდ კი არ უნდა წაიკითხო ან დაიზეპირო რამე, არამედ ერთმანეთთან უნდა დააკავშირო რაღაც ფაქტები, მოვლენები... უნდა წარმოიდგინო სიტაუაცია, რომელთანაც აქამდე არასდროს გქონია შეხება. მუშაობის პროცესი ძალიან საინტერესოა – ფანტაზიაც უნდა ჩართო, ყველაფერი დაალაგო გონებაში, განსაჯო რა როგორ სჯობს. მოკლედ, მთელი შემოქმედებითი პროცესია ერთი დავალების შესრულება.

ჩემი აზრით, ძალიან კარგია ისიც, რომ ნებისმიერმა მოსწავლემ შეიძლება შეასრულოს დამოუკიდებლად. არანაირი სირთულე არ არის, თუ გონებით მიუდგები და ფანტაზიასაც ჩართავ, ეს დავალებაც ხომ, პირველ რიგში, ფანტაზიასა და კრიტიკულ აზროვნებას ავითარებს, წერის სტილსაც. მე რა დავალებაც შევასრულე, დახვეწილ წერას მოითხოვდა.

სამოქალაქო განათლების საგანში ასეთი დავალებები იყო – თავი უნდა წარმოგედგინა ნაფიცი მსაჯულის ადგილას ან მაჰათმა განდის თანამედროვე მხარდამჭერად, ანუ უნდა მოგეზიდა მაჰათმა განდის მხარდამჭერები. ამ დავალებიდან ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. ჩვენ, ამ შემთხვევაში, თემა მოვამზადეთ – როგორ ვიყავით მაჰათმა განდის თანამედროვე დამცველები/მხარდამჭერები. ხალხისთვის ისე უნდა გაგვეცნო ამ ორგანიზაციის მიზნები და საქმიანობა, რომ გაგვეზარდა მისი თანამოაზრეების რიცხვი. დავალების მთავარი მიზანი საზოგადოებაში ძალადობის დაგმობა იყო. ამ შემთხვევაში, ტექსტი მოვამზადეთ, თუმცა ფორმატს, ტექსტის გარდა, სხვა ბევრი რამის გაკეთების პოტენიალიც აქვს. მითითებული რესურსების მიხედვით ვიმუშავეთ, ბოლოს, რა თქმა უნდა, კომპლექსური დავალება შეგვიფასეს. მაქსიმალური შეფასება მივიღე. მართლა ძალიან საინტერესო და სახალისო იყო დავალებაზე მუშაობის პროცესი – იმის გარდა, რომ რეალურად კრიტიკულად აზროვნებ და შენს ფანტაზიას აძლევ გასაქანს, თუ კარგად გააანალიზებ კონკრეტულ თემას, რაზეც მუშაობ, ეხები სხვადასხვა სიტუაციებს, რომლებშიც აქამდე არ ყოფილხარ და უკეთ იაზრებ და შედიხარ იმ სიტუაციაში, რომელსაც ეს დავალება გიყენებს პირობად. იმდენად საინტერესო, სახალისო და და უცნაურია, ალბათ, ვალდებულიც რომ არ იყო, აუცილებლად მოგინდება გააკეთო. ვის არ მოუნდება, თუნდაც, თავი წარმოიდგინოს მეოცე საუკუნის ყველასთვის კარგად ცნობილ ინდოელად ან მის ქომაგად.

❖❖❖

ახალი საგანმანათლებლო პროექტის მხარდამჭერები არიან: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი, დიდი ბრიტანეთის მთავრობა, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ACCESS და პირველი არხი-განათლება.

## პროფესიული განვითარება




**შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, 2020 წლის საგნის გამოცდაზე, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ტესტირებაზე მაქსიმალური ქულები, საგამოცდო დროის ხანგრძლივობა და ტესტის შეფასების ზოგადი კრიტერიუმები გამოაქვეყნა.**

ინფორმაცია იხილეთ ბმულებზე

- ⇨ საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ტესტირების მაქსიმალური ქულები
- ⇨ საგამოცდო დროის ხანგრძლივობა და ტესტის შეფასების ზოგადი კრიტერიუმები

2020 წლის საგნის გამოცდაზე, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ტესტირებაზე 19 600-ზე მეტი მასწავლებელი და მასწავლებლობის მსურველი დარეგისტრირდა. გამოცდების ჩატარების ვადები, სავარაუდოდ, მომდევნო კვირაში გამოცხადდება.

ზოგადი განათლება

# სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“ ახალი გამოწვევებით

დადგა იმედიანი 2020 წელი, სიხარულის, წინსვლისა და წარმატების, მრავალი იდეების განხორციელების, მოტივაციის წელი თითოეული ადამიანისათვის. ცხოვრების აჩქარებული ტემპის ფონზე სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“ წლის ბოლომდე შესასრულებელ გეგმებს აწყობდა ლამაზ თაროებზე, რომლებიც ბავშვების სიყვარულით იყო შთაგონებული და უცებ, მსოფლიოს წინაშე, ახალმა გამოწვევამ იჩინა თავი... გამოწვევა, რომელმაც თან მოიყოლა შიში, ცრემლები, უიმედობა... გამოწვევა, რომელმაც მკაცრად და ცივად მიხურა ყველა დარაბა, კარები, თაროებზე სათუთად შემოწყობილი გეგმები გაურკვეველი დროით გადაავადა... ერთმანეთის თვალებში გაურკვევლობა და შიში ამოგვაკითხა... სევდიანად შეგვახედა წინა დღით სასკოლო ცხოვრებით მჩქეფარე საკლასო ოთახებში.



ყველაზე მეტად უმძიმდა საკუთარი სკოლის კედლების ცარიელი დანახვა სკოლის დირექტორს, ქალბატონ ნაზი ნადირაძეს, რომელმაც როგორც ყოველთვის, ისევ ღირსეულად წარმოაჩინა თავი პედაგოგების წინაშე. მეგობრული, თბილი, ღიმილიანი, იმედიანი შეხვედრით დაგვისახა მომავლის გეგმები. შექმნილ ვითარებაში კარგად გამოჩნდა გუნდური მუშაობის, შემოქმედებითი მიდგომისა და სწრაფი რეაგირების მნიშვნელობა. გადაწყვეტილების მიღების დროს ჩვენი სკოლის მთავარი მოტივაციის წყარო ჩვენი აღსაზრდელები იყვნენ – კრიზისის მიუხედავად, თითოეული პედაგოგი საერთო იდეით ხელმძღვანელობდა, რომ მოსწავლეებისათვის ხარისხიანი განათლების მიღება ყოფილიყო შესაძლებელი... შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა და სწრაფადვე ჩავრთეთ თითოეული მოსწავლე და მშობელი ახალი გამოწვევის ფერხულში, გავაცანით დისტანციური სწავლების დეტალები, შევასწავლეთ classroom-სა და zoom-ში მუშაობა. თითოეული პედაგოგი ცდილობდა, ჯერ თავად შეესწავლა სიახლე და შემდეგ ღირსეული ონლაინ გაკვეთილი შეეთავაზებინა მოსწავლეებისათვის. ნელა-ნელა ამ სირთულეებმა უკვე სასიამოვნო შემეცნებითი ფუნქცია შეითავსა და ამ ფონზე გამოჩნდა ახალი ტელეპროექტი „ტელესკოლა“, რომელიც განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით შეიქმნა, ყველა მოსწავლეს, განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა წვდომა ინტერნეტთან, საშუალებას აძლევს ნახოს საინტერესო გაკვეთილები ყველა საგანში. ტელეგაკვეთილები მოიცავს I-XII კლასების ყველა აუცილებელ საგანს და სხვადასხვა აქტივობებს. გათვალისწინებულია მშობელთა ჩართულობაც, მათთვის რეკომენდაციების, მიდგომებისა და რჩევების მიცემა, ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე. „ტელესკოლამ“ როგორც სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ აღსაზრდელების, ასევე მათი მშობლების პოზიტიური გამოხმაურება მოიპოვა.

როგორც მედალს აქვს ორი მხარე, ასევე ამ ტკივილიანმა გამოწვევამ ჰპოვა პოზიტიური მხარე და გაგრძელება. დააახლოვა მშობელი ბავშვს. გამოიკვეთა მასწავლებლის ფუნქციები, მნიშვნელობა. სახელმწიფოებრივი მზაობა ერთ გუნდად დგომისა განათლების კვალდაკვალ, რამაც ღირსეული აღიარება მოგვაპოვებინა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ჩარჩო დოკუმენტით, სადაც კორონავირუსის გამო შექმნილი გამოწვევების დასაძლევად, განათლების მიმართულებით, საქართველო შეფასებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანა მსოფლიოში.

სკოლა-ლიცეუმი ,,ცოდნა“ (ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი), დირექტორ ნაზი ნადირაძის, თითოეული პედაგოგის, სკოლის ფსიქოლოგის, აღსაზრდელებისა და მათი მშობლების სახელით, მადლობას უცხადებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს, ბატონ მიხეილ ჩხენკელს, მოადგილეს ზოგადი განათლების დარგში - ეკატერინე დგებუაძეს,საქართველოს მთავრობის მეთაურს, ბატონ გიორგი გახარიას, სამინისტროებს და უწყების ყველა ხელმძღვანელს, რომლებმაც ოპერატიულად გაართვეს თავი პანდემიისგან გამოწვეულ გლობალურ კრიზისს. დიდი მადლობა პირველი არხის ხელმძღვანელობას და პირადად ბატონ ვასილ მაღლაფერიძეს, როგორც პირველი არხის ხელმძღვანელს და ასევე როგორც „ტელესკოლის“ ერთ-ერთ საუკეთესო მასწავლებელს. პირველი არხის თითოეულ თანამშრომელს, „ტელესკოლის“ პროექტში ჩართულ მასწავლებლებს, ფსიქოლოგებს, გაწეული დაულალავი შრომისათვის. ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ ბერიკა შუკაკიძესა და გლდანი-ნაძალადევის რაიონის რესურსცენტრს, ოპერატიულად ინფორმაციულ-საგანმანათლებლო წყაროების მოწოდებისათვის და დისტანციური საგაკვეთილო პროცესების გამრავალფეროვნებისა და მოტივაციის ამაღლებისათვის.

**ლიკა ლაგვილავა**
*დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში*

სკოლა-ლიცეუმ „ცოდნასთან“ ჩემი პირველი შეხება 2016 წელს შედგა. მე, პოლიციელს, პედაგოგის რანგში მხვდა წილად, რამდენიმე შემეცნებითი გაკვეთილი ჩამეტარებინა მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის და მესაუბრა სამართლებრივი კულტურისა და ცალკეული სამართალდარღვევების შესახებ. სკოლა ძალიან მომეწონა. მყუდრო, მშვიდი და ოჯახური გარემო სუფევდა. სკოლაში რამდენჯერმე მისვლის შემდეგ უკვე ვიცოდი, რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდნენ თითოეული ბავშვის აღზრდა-განვითარებას, როგორი ერთსულოვნება და უსაზღვრო სიყვარული სუფევდა. 2019 წელს კი, როდესაც ჩემს ქალიშვილს სკოლის ასაკი შეუსრულდა, სხვა სკოლაზე არც მიფიქრია. მაშინვე სკოლა-ლიცეუმ „ცოდნასკენ“ გავეშურე და შევხვდი დირექტორს, ქალბატონ ნაზი ნადირაძეს. ჩვენ მიგვიწვიეს ღია კარის დღეზე და აი, დადგა ნანატრი სექტემბერიც. ყოველ ჯერზე ვრწმუნდებოდი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. მაგრამ, მაინც, დედის გული ხომ იცით, სულ მეფიქრებოდა - ნეტავ რას შვება ჩემი გოგო, როგორ უმკლავდება სკოლაში პირველ ნაბიჯებს?!

2020 წელი კი უჩვეულოდ დაიწყო არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. საშინელი სენი მოერია მთელ დედამიწას, რომელმაც თან მოიყოლა შიში, ცრემლები, უიმედობა... ყველაფერი გაჩერდა... სკოლებიდან ბავშვები დაითხოვეს და არ ვიცოდით რა იქნებოდა მომავალში, მაგრამ ჩვენდა გასაოცრად, ჩვენს სკოლას დიდი ხანი არ დასჭირდა ახალი გეგმების განსახორციელებლად. სკოლამ თითოეულ მშობელს და მოსწავლეს გაგვაცნო დისტანციური სწავლების დეტალები, აგვიხსნეს, როგორ უნდა მოვქცეულიყავით და ნელა-ნელა ამ სირთულეებმა უკვე სასიამოვნო, შემეცნებითი ფუნქცია შეითავსა. ამ ტკივილიანმა გამოწვევამ ჰპოვა პოზიტიური მხარე და გაგრძელება. ჩვენ, მშობლები და ბავშვები, დაგვაახლოვა ერთმანეთს. ჩვენს შვილებს ჩვენთან ურთიერთობის დეფიციტი შეუვსო. მე პროფესიით პოლიციელი ვარ და ვერასდროს ვახერხებდი, შვილთან ამდენი დრო გამეტარებინა , მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სამუშაო გრაფიკი არ შეცვლილა და მე ისევ ჩვეულ რიტმში ვაგრძელებდი მუშაობას, ჩემთვისაც ახალი გამოწვევა იყო, გამომენახა დრო შვილთან ურთიერთობისთვის, რაც ყოველთვის გვაკლდა. ამ რთულმა სიტუაციამ დაგვანახა, რამხელა ადგილი უკავია სკოლას და თითოეულ პედაგოგს მოზარდის აღზრდასა და სწორ განვითარებაში. თქვენ ხართ ჩვენი და ჩვენი შვილების დიდი იმედი. ყოველ ჩართვაზე ისეთი გარემო იქმნება, ბავშვები ვერც კი ხვდებიან, სკოლაში კი არა, სახლში რომ არიან. არ დავიღლები თქვენდამი მადლიერების გამოხატვით. ჩემმა შვილმა რაც იცის, რასაც სწავლობს და კიდევ ბევრს ისწავლის - თქვენი დამსახურებაა. ულრმესი მადლობა ჩვენს სკოლას, დირექტორს, ქალბატონ ნაზი ნადირაძეს ყველაფრისთვის. მიყვარხართ და მეიმედებით. უფლის წყალობა და მფარველობა არ მოგკლებოდეთ. მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე, როდესაც ჩემი შვილი სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ აღსაზრდელი გახდა.

სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ პედაგოგების, სკოლის ფსიქოლოგის თავდაუზოგავი შრომა შეავსო და გაამრავალფეროვნა ახალმა პროექტმა – „ტელესკოლამ“. მადლობა ამ თავდაუზოგავი შრომისთვის, ყოველი დეტალის გათვალისწინებისთვის, მშობლების გამხნევებისა და რეკომენდაციებისთვის, პოზიტიურად ჩატარებული გაკვეთილებისთვის, რომელიც ყველა აუცილებელ საგანს მოიცავს. ჩვენ, მშობლები, დიდი სიამოვნებით ვადევნებთ თვალს ყოველ გაკვეთილს. მადლობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს, ბატონ მიხეილ ჩხენკელს. პირველი არხის ხელმძღვანელობას, ყველას, ვინც ჩართულია პროექტ „ტელესკოლაში“.

**ნინო ვარდანაშვილი**
*თბილისის სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“*
*მშობელთა საზოგადოების წარმომადგენელი*

2020 წლის შემობრძანებისა და ზამთრის არდადეგების შემდეგ, დიდი მონდომებითა და ემოციებით ელოდებოდნენ ბავშვები სასწავლო წლის განახლებას, მასწავლებლებთან და მეგობრებთან შეხვედრას. მართალია, მათ ეს ნატვრა მალე აუსრულდათ და აქტიურად ჩაერთვნენ სწავლის პროცესში, მაგრამ მალევე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოვიდა ე.წ. „უხილავი მტერი“, რამაც სრულიად შეცვალა არა მარტო ბავშვების ცხოვრების წესი, არამედ შეიცვალა სამყარო, დაცარიელდა ქუჩები, საზოგადოება მოიცვა შიშმა, საჭირო და აუცილებელი გახდა იზოლაციაში ყოფნა, რადგან თავი დაგვეცვა ამ საფრთხისაგან.

სწორედ ამ დროს, სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ დირექტორის, ქალბატონ ნაზი ნადირაძის, პედაგოგებისა და სკოლის ფსიქოლოგის გუნდური მუშაობის შედეგი იყო, რომ მშობლები და ბავშვები ჩაგვრთეს ახალ გამოწვევაში, გავეცანით დისტანციური სწავლების დეტალებს, შევისწავლეთ classroom-სა და zoom-ში მუშაობა და ბავშვები აქტიურად ჩაერთვნენ ონლაინ გაკვეთილებში. ამ ფაქტმა თითოეული ჩვენგანი ძალიან დაგვაახლოვა ჩვენს შვილებთან, დავინახეთ მასწავლებლების როლი ბავშვების სწავლა-განვითარებაში, რომლებიც სითბოს და სიყვარულს არ იშურებენ ჩვენი შვილების მიმართ, იხარჯებიან განუსაზღვრელი დროით, რათა მიიღონ მაქსიმალური შედეგი.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს, ბატონ მიხეილ ჩხენკელს, მის გუნდთან ერთად და პირველი არხის ხელმძღვანელობას, პროექტში ჩართულ მასწავლებლებს, ფსიქოლოგებს, რომლებმაც ბავშვებს შეუქმნეს გადაცემა „ტელესკოლა“, სადაც გაკვეთილები მოიცავს ყველა კლასის აუცილებელ საგანს. გათვალისწინებულია ჩვენი, როგორც მშობლების, ჩართულობაც. ვიღებთ აუცილებელ რჩევებს, რეკომენდაციებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გავუმკლავდეთ არსებულ სირთულეებს.

მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ გაკვეთილებს წარმატებით გავართვით თავი როგორც პედაგოგებმა, ასევე ბავშვებმა და მშობლებმა, მინდა ვუსურვო ყველას, რომ მალე დავუბრუნდეთ ცხოვრების ჩვეულ წესს და ბავშვების ჟრიამულმა მოიცვას სკოლის კედლები.

**ნინო კრიალაშვილი**
*თბილისის სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“*
*მშობელთა საზოგადოების წარმომადგენელი*

არ შეიძლება, სათანადოდ არ შევაფასოთ , სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ დიდი ღვაწლი და შემართება დისტანციური სწავლების მხრივ. მე, როგორც მშობელი, თვალს ვადევნებ ამ მიმდინარეობას და თავს ვხრი ყველა იმ პედაგოგის წინაშე, ვინც თავს არ ზოგავს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ბავშვებამდე მიიტანოს სასწავლო პროგრამა. ეს არის აღუნუსხავი ღვაწლი და მე ვუწოდებ ამ პედაგოგებს გმირებს. რამდენად კარგ შედეგს დადებს დისტანციური სწავლება, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ თქვენ აკეთებთ მაქსიმუმს. გმადლობთ ყოველივესათვის, გაგმართლებოდეთ. მშვიდობა მოგვცეს ღმერთმა და არ დაგჭირვებოდეთ ასე დისტანციურად ყოფნა ჩვენს შვილებთან, რადგან თქვენთან ახლოს ყოფნა და თქვენი დადებითი ენერგია სხვაგვარად ავსებს ჩვენს შვილებს.

**ლალი ფრუიძე**
*თბილისის სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“*
*მშობელთა საზოგადოების წარმომადგენელი*



რეგიონი

# გამოწვევები, რომლის წინაშეც ყველანი ერთად აღმოვჩნდით

## გვესაუბრება მესტიის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დარეჯან ნიგურიანი



✓ დისტანციური სწავლების დაწყება საწყის ეტაპზე გაგვიჭირდა, ვინაიდან, მოგეხსენებათ, მაღალმთიანი რაიონია და ყველას არ მიუწვდება ხელი ინტერნეტზე. მართალია, სკოლებს მიეწოდებათ ინტერნეტი, მაგრამ ოჯახებს – არა. მაგრამ, ამ ეტაპზე, ეს ნაკლებად სანერვიულოა, რადგან განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტი „ტელესკოლა“ ჩვენი რაიონის ყველა სოფელს ფარავს.

✓ ჩვენ თვალს ვადევნებთ ონლაინ გაკვეთილების მიმდინარეობის პროცესს, ვაკვირდებით მასწავლებლების, ადმინისტრაციის, დამრიგებლების ჩართულობას. ყველა ერთად ვცდილობთ ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში დასახული მიზნები, სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შესრულდეს, ამ უჩვეულო მდგომარეობაში.

✓ არის გარკვეული გამოწვევები, ვიღაც რაღაცას ვერ ახერხებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა ცდილობს მაქსიმალურად დაიხარჯოს და ეს განწყობა იძლევა იმედს იმისა, რომ ყველაფერი გაკეთდება მოსწავლეთა სასარგებლოდ.

✓ ჩვენი საქმიანობის წარმატების აუცილებელი წინაპირობაა სამინისტროსა და რესურსცენტრების ეფექტური თანამშრომლობა, იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომელთა წინაშეც საქართველოს განათლების სისტემა პანდემიის გამო აღმოჩნდა.

ყოველ ოთხშაბათს რესურსცენტრის ხელმძღვანელები ვხვდებით სამინისტროს წარმომადგენლებს, დისტანციურად. ვიზიარებთ შეხვედრებისას მიღებულ რეკომენდაციებს, ერთმანეთის გამოცდილებას, ერთად ვეძებთ სხვადასხვა სირთულეების გადაჭრის გზებს, ვუსადაგებთ ადგილზე წარმოქმნილ პრობლემებს და ამ გზით ვცდილობთ, დავხვეწოთ საქმიანობა.

✓ აღნიშნული შეხვედრების შედეგად ყველა რეგიონში შეიქმნა საკონსულტაციო ცენტრები, რომლებიც ონლაინ სემინარებს სთავაზობენ რეგიონული რესურსცენტრების სკოლების I-IV კლასების პედაგოგებს.

კონსულტაციები ხორციელდება ვებინარების ფორმით, „ახალი სკოლის მოდელის“ სკოლების ბაზაზე, დისტანციურად. ვებინარებს უძღვებიან პროექტში ჩართული ქოუჩები, ასისტენტები და პედაგოგები, რომლებსაც როგორც ტექნოლოგიების, ისე კომპლექსური დავალებების გამოყენების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი გამოცდილება დაუგროვდათ და ახლა გასცემენ საერთო საქმის სასარგებლოდ.

ჩვენი სკოლები არ არიან ჩართული ამ პროექტში, მაგრამ საკონსულტაციო ცენტრების შექმნის შედეგად, საშუალება აქვთ, იურთიერთონ ამ პროექტში ჩართული სკოლების ქოუჩებთან, მიიღონ რჩევები და გაიზიარონ გამოცდილება. მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ, მიიღონ ყველა ის სიახლე, რჩევა, რეკომენდაცია, რომელიც მათ ამ სიტუაციაში მაქსიმალურად ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვაში დაეხმარებათ.

✓ ისეთი მასწავლებელი, საერთოდ რომ ვერ ჩართულიყო დისტანციური სწავლების პროცესებში, არ გვყავს. რამდენიმე მასწავლებელი სატელეფონო კავშირს იყენებს. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც ვერ მოახერხეს დისტანციურ სწავლებაში ჩართვა, მასწავლებლებს დავალებები მიაქვთ სახლში, რასაკვირველია, შესაბამისი რეკომენდაციების დაცვით. აღსანიშნავია, რომ სოფლების – ეცერის, ხაიშის, ბეჩოს, ნაკრის, იელის, იფარის, ფარის – საჯარო სკოლების მოსწავლეებს (მრავალშვილიანი ოჯახებიდან) არასამთავრობო ორგანიზაციამ „სექტორი 3“ 7 კომპიუტერი გადასცა, ასევე, მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ შეგროვებული თანხით შეძენილი 5 ცალი კომპიუტერი. შექმნილ ვითარებაში ყველა ცდილობს, დაძლიოს ის გამოწვევები, რომლის წინაშეც ყველანი ერთად აღმოვჩნდით.

✓ სპორტისა და მუსიკის გაკვეთილების დისტანციურად წარმართვაც მოხერხდა, რამაც დაგვანახა, რომ მთავარია, მასწავლებლის და მოსწავლის მხრიდან იყოს მზაობა და ყველაფერი შესაძლებელია.

✓ რაც შეეხება ამ პროცესებში მშობელთა ჩართულობას, რასაც ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მინდა გითხრათ, რომ ჩვენი სკოლებისათვის საინტერესო და წარმატებულია „ეტალონის“ პროექტი – izrune.ge, რომელიც მესამე წელია აიტაცეს ჩვენმა სკოლებმა. ამ პროექტმა წინაპირობა შექმნა დღეს არსებული რეალობისთვის –კარგად მოქმედი სამკუთხედი – სკოლა, მშობელი და მოსწავლე.

✓ მოსწავლეების შეფასება მოხდება ქულებით. მოგეხსენებათ, რომ მათ გაიარეს პირველი სემესტრი, შემდეგ მეორე სემესტრის 6 კვირა და გადავიდნენ ონლაინ სწავლებაზე. შეფასებისას გამოყენებულ იქნება პირველი სემესტრის ქულები და 4 მარტამდე მიღებული შედეგები, რასაც დაემატება ონლაინ სწავლების დროს მიღებული შეფასებები. ამ წესით შეფასდება დამამთავრებელი კლასიც. წელს 108 საშუალო საფეხურის კურსდამთავრებული გვყავს.

✓ სკოლები მაქსიმალურად იცავენ განათლების სამინისტროს რეკომენდაციებს. საქმიანობისას ოთხშაბათის ტრადიციულ შეხვედრებზე მიღებულ კონსულტაციებს ვიყენებთ და მაქსიმალურად ვცდილობთ, უკეთ წარვმართოთ სასწავლო პროცესი.

✓ ყველანაირი გამოწვევა შესაბამისი ქმედებისკენ გიბიძგებს, მოქმედება ცოდნის შეძენის და გამოცდილების დაგროვების გზაა. საგანმანათლებლო სისტემამ დაძლია ეს გამოწვევა, დაგროვდა მომავალში გამოსაყენებელი უზარმაზარი ცოდნა და გამოცდილება, გზადაგზა დასახვეწი და გასამრავალფეროვნებელი, თითოეული ჩვენგანის განვითარებისთვის, მეტი ცოდნის მისაღებად.

ესაუბრა **მაკა ყიფიანი**

რას გვირჩევს ინფექციონისტი

# უნდა გაიხსნას თუ არა სასწავლო დაწესებულებები სექტემბერში



ამის ახლა, ამ ეტაპზე დაგეგმვა შეუძლებელია. წინ კიდევ სამი თვეა და ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ქვეყანაში როგორი იქნება, ეს არავინ იცის.

თუმცა, თუ მეტ-ნაკლებად სტაბილური სიტუაცია შენარჩუნდა, რა თქმა უნდა, უნდა გაიხსნას.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას გამოქვეყნებული აქვს რეკომენდაციები კოვიდ პანდემიის პერიოდში სასწავლო დაწესებულებების გახსნასთან და მოსწავლეების/სტუდენტების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ამ რეკომენდაციებსა და არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია გავითვალისწინოთ შემდეგი:

1) სასწავლო დაწესებულებები მაქსიმალურად უნდა იყოს აღჭურვილი სადეზინფექციო საშუალებებით. შესასვლელებში ყველგან უნდა იყოს ხელმისაწვდომი სადეზინფექციო სითხე;

2) რა თქმა უნდა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელის დაბანის და გამშრალებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. სამწუხაროდ, ჩვენს სკოლებში/ბაღებში/უნივერსიტეტებში ტუალეტები ხშირად ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამიტომ, ამ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება კორონავირუსის გარეშეც სასიცოცხლოდ აუცილებელია სხვა, უამრავი ინფექციური დაავადების პრევენციისთვის, რაც ასე ხშირია ჩვენს ბავშვებში;

3) რეგულარულად უნდა მოხდეს ზედაპირების დეზინფექცია (რასაც რეალური მნიშვნელობა ექნება, როცა სკოლები გაიხსნება. თორემ ჩვენთან ეს ცოტა უცნაურად მოხდა – დეზინფექცია ჩაუტარდა სასწავლო დაწესებულებებს მათი დაკეტვის შემდეგ, როცა იქ ბავშვები აღარ იყვნენ და ამას, ცხადია, არავითარი აზრი არ ჰქონდა).

4) მთავარ რეკომენდაციად აქაც რჩება დისტანციის დაცვა, მერხებს შორის მანძილი, მინიმუმ, 1 მეტრი;

5) ასევე, შესაძლებლობის ფარგლებში, ცვლების შემოღება, რომ მოსწავლეების რაოდენობა, დროის ერთ მონაკვეთში, ნაკლები იყოს და დისტანციის დაცვა უფრო გაადვილდეს. ჩვენთან ამ მხრივ შესაძლებელია ინდივიდუალური მიდგომები სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებისათვის. თუ სასწავლო დაწესებულება პატარაა და სტუდენტების/მოსწავლეების რაოდენობა მცირეა, მაშინ უფრო ადვილად იქნება შესაძლებელი ამუშავება. ეს ხშირია ჩვენს სოფლებში, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვების სკოლებში დაბრუნება, რადგან ინტერნეტი და კომპიუტერები სახლებში უფრო მეტად არის პრობლემა, ვიდრე ქალაქის მოსახლეობაში. ამიტომ სოფლების ნაწილში ბევრად ადვილი იქნება სკოლების გახსნა. თანაც, სავარაუდოდ, ეს ბავშვები, ალბათ, მაინც კონტაქტში არიან ერთმანეთთან;

6) ჯანმოს ამავე დოკუმენტში ერთ-ერთი რჩევაა, მაგალითად, კაფეტერიების ამუშავებისგან თავის შეკავება, სადაც უფრო მეტი რისკია ინფექციის გადაცემის, ვიდრე კლასში. გვირჩევენ, ბავშვებმა სახლიდან წამოღებული საკვები მიიღონ კლასშივე, მერხებზე;

7) ასევე, ის სკოლები, სადაც მოსწავლეები სხვადასხვა საკლასო ოთახებში გადადიან სხვადასხვა გაკვეთილზე, გადავიდნენ ერთ ოთახში დარჩენის რეჟიმზე, რომ სხვადასხვა კლასების მოსწავლეებს შორის კონტაქტი შემცირდეს. იგივეს გათვალისწინება უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისთვისაც არ იქნებოდა ურიგო;

8) განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ იმ ბავშვების მშობლებმა/მასწავლებლებმა, რომელთაც სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების გამო გართულებების მაღალი რისკი აქვთ;

9) ერთ-ერთი რეკომენდაციაა ასევე, რომ ბავშვების სკოლაში მოყვანასა და წაყვანაში მონაწილეობას ნუ მიიღებენ ხანდაზმული ბებია/ბაბუები, რომ ნაკლებად შევიდნენ კონტაქტში არა მხოლოდ თავიანთ, არამედ სხვა ბავშვებთანაც. ზოგადად, ხანდაზმულებთან კონტაქტის შემცირება ალბათ ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი ღონისძიებაა;

10) თუ სკოლას ტრანსპორტი ემსახურება, ბავშვებს შორის დისტანცია აქაც დაცული უნდა იყოს. ამისთვის შესაძლოა ტრანსპორტის დამატება გახდეს საჭირო;

11) თერმოსკრინინგი სასწავლო დაწესებულებებშიც აქტუალურია;

12) ჯანმო ასევე გვირჩევს, რომ სასწავლო დაწესებულებებმა გააუქმონ ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობის მოთხოვნა, რათა ამან ხელი არ შეუწყოს შეუძლოდ მყოფი მოსწავლის/სტუდენტის გამოცხადებას;

13) ოთახები მაქსიმალურად ხშირად განიავდეს;

14) თუ სკოლას ამის საშუალება აქვს, სტიმული მიეცეს გაკვეთილების ჩატარებას გარეთ, ღია სივრცეში;

15) შემცირდეს სოციალური და სპორტული აქტივობები (ეს რისკი ჩვენს მოსწავლეებს მაინც ნაკლებად აქვთ, სპორტის გაკვეთილები ისედაც დიდი ხანია შემცირდა/გაუქმდა);

16) რა თქმა უნდა, საჭიროებისამებრ, ისევ იქნეს გამოყენებული ონლაინ გაკვეთილების სისტემა. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში, ადგილზე ატარებენ ლაბორატორიულ/სადემონსტრაციო ტიპის გაკვეთილებს, ხოლო თეორიულს – ისევ ონლაინ.

✓ ყველა შემთხვევაში, ინდივიდუალური მიდგომა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინება აუცილებელია.

✓ არ უნდა გავიმარტივოთ საქმე და ხელაღებით განვაცხადოთ, რომ ყველა მოსწავლე/სტუდენტი დარჩეს სახლში და ისწავლოს ონლაინ. ხანგრძლივად ეს შეუძლებელია და მძიმე გავლენა ექნება როგორც სწავლის ხარისხზე, ასევე ბავშვების/ახალგაზრდების ფსიქიკაზე. მგონი ყველა თანხმდება იმაზე, რომ ონლაინ სწავლება მკვეთრად აუარესებს ხარისხს.

✓ ამ ზომების გათვალისწინება ძალიან გამოადგება სხვა ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკასაც, განსაკუთრებით გრიპის, რომელიც (რაც უნდა აღიზიანებდეს ზოგიერთს ეს შედარება) ბავშვებში გაცილებით უფრო მძიმე შედეგებს იძლევა, ვიდრე კორონავირუსი. ამ ვირუსთან დაკავშირებით ბავშვებში ინფექციის პროფილაქტიკის მთავარი მიზანი მაინც არის ხანდაზმულ უფროსებზე კორონავირუსის გადადების თავიდან აცილების მცდელობა და ეს ნამდვილად სერიოზული მიზანია.

**მაია ბუწაშვილი**
ექიმი ინფექციონისტი

ინტერვიუ მაია კობახიძესთან

# განათლების სამინისტრომ უნდა დაიწყოს შექმნილი პრობლემების გადაწყვეტისათვის მექანიზმების შემუშავება

*გვესაუბრება საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის თავმჯდომარე მაია კობახიძე*



**✓ სწავლა-სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით, როგორც ვიცით, პედაგოგთა გარკვეულ ნაწილს სხვადასხვა სახის პრობლემა შეექმნა – რა სახის დახმარებას სთავაზობს მათ პროფკავშირი?**

⇨ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში, ახალი COVID 19-ის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, განსაკუთრებით აქტუალური გახდა ციფრული ტექნოლოგიები. გლობალური პანდემიის შედეგად, საგანმანათლებლო სისტემის წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად, დაინერგა დისტანციური სწავლება. სწავლის პროცესის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა, მართალია, ვერ ჩაანაცვლებს რეალურ საკლასო სოციუმს, თუმცა, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სწავლების ალტერნატიული – დისტანციური მეთოდების გაზიარება და ადაპტირება მნიშვნელოვანი კომპონენტია. შექმნილ ვითარებაში, იმისათვის, რომ ჯანმრთელობის კრიზისი არ გადაიქცეს განათლების კრიზისად, დისტანციური სწავლება უნდა განვიხილოთ, როგორც გადაუდებელი სასწრაფო დახმარება, გარდაუვალი სწავლება.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრომ საფუძვლიანი მუშაობა ჩაატარა დისტანციური სწავლა-სწავლების დანერგვასთან დაკავშირებით, ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, პედაგოგთა გარკვეულ ნაწილს შეექმნა პრობლემები დისტანციური სწავლების წარმართვის დროს. სპმთპ-ს „საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ცენტრმა“ შეიმუშავა ტრენინგ-მოდული – „გამოწვევები დისტანციური სწავლების პროცესში“ და დაიწყო ონლაინ ტრენინგები. პრობლემები უკავშირდებოდა როგორც ინტერნეტკომუნიკაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების, ისე დისტანციური სწავლების მეთოდიკის უნარ-ჩვევებს, ასევე, განსაკუთრებით რეგიონებში, მაღალმთიან სოფლებში ინტერნეტის ხელმიუწვდომობას და გამომდინარე აქედან, ინტერნეტის მოხმარების ალტერნატიული გზების ძიებას. მაგალითად, ოჯახში კომპიუტერის ან ინტერნეტის არქონის შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია სმარტფონის გამოყენება, მაგრამ დისტანციური სწავლების სხვა ტექნოლოგიებთან ერთად, ეს მათ უნდა ასწავლო.

**✓ თუ მიმართავენ პედაგოგები დასახმარებლად რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციებს და ძირითადად, რა სახის პრობლემებზე?**

⇨ ჩვენი ორგანიზაცია წარმომადგენლობითია ყველა დონეზე, რაიონულ და საქალაქო სტრუქტურებში, სკოლებში, საბავშვო ბაგა-ბაღებში და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარეების სახით. სტრუქტურული მოწყობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, სპმთპ-ს წევრები, პირველ რიგში, მიმართავენ საგანმანათლებლო დაწესებულების პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, უმეტეს შემთხვევაში, რაიონული/საქალაქო ორგანიზაციების ლიდერებს. რა თქმა უნდა, ეს გარემოება არ გამორიცხავს იმას, რომ წევრი, თავისი გადაწყვეტილებით, იურიდიული კონსულტაციის და სხვა სახის დახმარებისათვის, მიმართავს სპმთპ-ის პრეზიდენტს ან სათავო ოფისის წარმომადგენლებს. საგანამანათლებლო სისტემაში დასაქმებულთა პრობლემებია როგორც ინდივიდუალური, ასევე კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანების ან ხარვეზის შედეგად წარმოქმნილი, ასევე, დამსაქმებლის მხრიდან კანონის მოთხოვნების უგულებელყოფა. არის ისეთი საკითხები, რომელიც ადგილზე, რაიონული/საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის ჩართულობის საფუძველზე გადაიჭრება.

პრობლემათა უმრავლესობა ეხება შრომითი, სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დარღვევას. სპმთპ-ს კვალიფიციური სპეციალისტები, პედაგოგთა მოთხოვნების საფუძველზე, სიღრმისეულად სწავლობენ პრობლემებს და შეიმუშავებენ წინადადებებს ხელისუფლებასთან, ძირითადად, განათლების სამინისტროსთან წარსადგენად. პრობლემების გადაჭრა ხდება განათლების სამინისტროსთან მიმდინარე სოციალური დიალოგის, სამინისტროსა და სპმთპ-ს შორის გაფორმებული დარგობრივი შეთანხმების საფუძველზე. არსებობს დასაქმებულთა უფლებების დარღვევის ისეთი ფაქტები, სადაც იძულებული ვართ, სასამართლოს მივმართოთ.

მიუხედავად კანონითა და ნორმატიული აქტებით მკაცრად დარეგულირებული საკითხებისა, მაინც ვაწყდებით ისეთი სახის პრობლემებს, როგორიცაა საჯარო სკოლის მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების არასწორად გამოთვლა, დროებითი შრომისუუნარობის (ბიულეტენის), დეკრეტული შვებულების მიცემისა და ანაზღაურების დროს მინიჭებური უფლებების შელახვა; უხელფასო/არაანაზღაურებადი შვებულების უფლების ჩამორთმევა; დროებით მოვალეობის შემსრულებელი პირისთვის შრომის ანაზღაურების არასწორი გამოთვლა ან საერთოდ, არ გაცემა და სხვა.

მასწავლებლები მოგვმართავენ არა მხოლოდ უფლებების შელახვის დროს, არამედ ითხოვენ კარიერული წინსვლისათვის მათ პროფესიულ საჭიროებებზე მორგებულ დახმარებებს.

**✓ როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სპმთპ-ს ტრენინგ-ცენტრმა მოამზადა დისტანციური ტრენინგ-მოდულები, მასწავლებელთა სხვადასხვა საჭიროებების მიხედვით, ტარდება თუ არა უკვე ტრენინგები და რა ინტენსივობით?**

⇨ მსოფლიო პანდემიით შექმნილი მდგომარეობის საპასუხოდ, უმოკლეს ვადაში, შევისწავლეთ პედაგოგთა პროფესიული საჭიროებები, დავგეგმეთ ღონისძიებები და სპმთპ-ს ტრენინგ-ცენტრმა შეიმუშავა ონლაინ სატრენინგო მოდულები, რაც ქვეყნის მასშტაბით წარმატებით მიმდინარეობს. სპმთპ-ს რაიონული/საქალაქო/აჭარის რესპუბლიკური ‍ორგანიზაციების თავმჯდომარეები, ტრენინგ-ცენტრთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, უზრუნველყოფენ ონლაინ ტრენინგების ორგანიზება/ჩატარებას. სპმთპ-ს ტრენინგ-ცენტრმა მოამზადა დისტანციური ტრენინგ-მოდულები, სკოლების მასწავლებელთა და სკოლამდელი დაწესებულებების დასაქმებულთა საჭიროებების მიხედვით: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა სტატუსის პედაგოგებისთვის პროგრამა „teams“-ში მუშაობის სწავლება როგორც ქართულ, ასევე აზერბაიჯანულ ენაზე; მოსწავლის განმსაზღვრელი, განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასება; პრაქტიკოსი მასწავლებლების საგამოცდოდ მოსამზადებლად; ეთნიკური უმცირესობებისთვის – ქართული, როგორც მეორე ენა; აზერბაიჯანულენოვანი პედაგოგებისათვის – საგნობრივ და პროფესიულ უნარებში; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულთათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგებისთვის გააქტიურდა Microsoft-TEAMS-ის პროგრამები, არაერთი ვიდეოინსტრუქციებით, დავინახეთ ჩვენი როლი მასწავლებლების მხარდაჭერის კუთხით და ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობისათვის შეიქმნა TEAMS-ში მუშაობისთვის სპეციალური ტრენინგ-მოდული. ეს მცირე ჩამონათვალია, რადგან ტრენინგცენტრი უწყვეტ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას ტრენინგ-მოდულების შემუშავების მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირმა დაიწყო თანადგომისა და მხარდაჭერის პროექტი „სკოლისა და განათლების პოლიტიკის ადვოკატირების შესაძლებლობების განვითარება საქართველოში“, რომლის მიზანია დანიური პრაქტიკის დანერგვა და ადაპტაცია ქართულ რეალობაში. აღნიშული საერთაშორისო პროექტის ერთ-ერთი თემა სწავლა-სწავლების პროცესში ინტერნეტტექნოლოგიების გამოყენებაც არის. პროექტში ჩართულმა პედაგოგებმა, პროფესიული ზრდასთან ერთად, დანიელი ექსპერტ-მასწავლებლების ტრენინგებზე მიღებული ცოდნა გამოიყენეს სტატუსის ასამაღლებლად, სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით. 21-ე საუკუნის სწავლა-სწავლების კომპეტენციების დანერგვა-განვითარება, კოლეგებისათვის გამოცდილების გაზიარება, ამჟამად, დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობს. სიამაყით და სრული ობიექტურობით მინდა განვაცხადო, რომ პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი პირველია, ვინც 2017 წლიდან დაიწყო პედაგოგთა გადამზადება „განმავითარებელი შეფასების“ მექანიზმების შესწავლა-დანერგვის მიმართულებით. შექმნილია ჩვენ მიერ გადამზადებულ პედაგოგთა ჯგუფები, რომლებიც ენთუზიაზმით მუშაობენ მიღებული ცოდნის კოლეგებთან გაზიარების მიზნით.

**✓ სოციალურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, ცალკეული ორგანიზაციები პედაგოგებს, ფასიანი ტრენინგების გავლის სანაცვლოდ, კრედიტქულებს სთავაზობენ. თქვენ განაცხადეთ, რომ პროფკავშირის იურისტები იკვლევენ ამ საკითხს, ხომ არ დასრულებულა მოკვლევა?**

⇨ დაგვიკავშირდნენ პედაგოგები, რომლებსაც აინტერესებდათ, გამოადგებოდათ თუ არა 4-კრედიტიანი ტრენინგები კარიერული წინსვლისთვის, რასაც სთავაზობდა ორგანიზაცია „ცოდნა“. აღნიშნული ტრენინგები ფასიანია და საკმაოდ სოლიდურ თანხას შეადგენს.

ჩვენ შეგნებულად არ შევეხებით ამ ტრენინგების ხარისხს და სარგებლიანობას, ცოდნის მიღების თვალსაზრისით. პედაგოგებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, ულირთ თუ არა კონკრეტული თანხის გადახდა იმ ცოდნის სანაცვლოდ, რასაც ამ ტრენინგების შედეგად მიიღებენ. თუმცა, აუცილებლად უნდა გავაკეთოთ განმარტება იმის შესახებ, რომ ასეთი ორგანიზაციების დაპირება, კრედიტების მინიჭების თაობაზე, წარმოადგენს სიცრუეს და პედაგოგების შეცდომაში შეყვანის მცდელობას, ფულადი სარგებლის მიღების მიზნით.

ყველასთვის ცნობილია, რომ კრედიტქულების მინიჭების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, ან მის ქვეკონტრაქტორ ორგანიზაციას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მაგალითად, სპმთპ-ს ტრენინგ-ცენტრმა, გასულ წლებში, ორჯერ განახორციელა მასწავლებლის სახლის მიერ აკრედიტირებული ტრენინგ-პროგრამები და მონაწილეებს კრედიტქულები მიანიჭა. გადავამოწმეთ მასწავლებლის სახლთან და გაირკვა, რომ ორგანიზაცია „ცოდნის“ მიერ დაპირებული კრედიტები მასწავლებლებს კარიერული წინსვლისთვის არ გამოადგებათ. საგანგაშოდ მივიჩნიეთ ის გარემოება, რომ პრაქტიკოსი მასწავლებლების გარკვეული ნაწილი, რომელთაც უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისაღებად სავალდებულო აქტივობები განახორციელეს, მაგრამ დააკლდათ ნახევარი, ერთი ან 4 კრედიტი, აღარ ინტერესდებოდა მასწავლებლის სახლის მიერ გამოცხადებული 5-კრედიტიანი ტრენინგებით, ვინაიდან საკმარისად მიიჩნიეს ორგანიზაცია „ცოდნის“ დაპირება, 4 კრედიტის მინიჭების თაობაზე. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაცია, რომლის მიხედვით, ორგანიზაცია „ცოდნის“ წარმომადგენლები მასწავლებლებს სასამართლოთი დაემუქრნენ, თითქოსდა დეზინფორმაციის გავრცელებისათვის, არადა მათი ფბ გვერდის სტატუსები კრედიტქულების მინიჭების დაპირებას ადასტურებს.

**✓ პანდემიის პერიოდში, რაიმე სახის აქტივობა ხომ არ განხორციელებულა თქვენი ორგანიზაციის მიერ სკოლამდელი დაწესებულებებისთვის?**

⇨ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი თანაბრად წარმართავს საქმიანობას, საგანმანათლებლო სისტემის ყველა საფეხურის დასაქმებულთა უფლებებისა და მოთხოვნების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ COVID 19-ით გამოწვეული საგანგებო მდომარეობის დროს, სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულები არ დგანან ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები, მათი მხრიდანაც არის ტრენინგების მოთხოვნები. სპმთპ-ს „საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ცენტრმა“, ამ შემთხვევაშიც, ბუნებრივია, შეიმუშავა და დაიწყო განხორციელება ონლაინ-ტრენინგების, შემდეგ თემებზე: „სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა საბავშვო ბაღში“; „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მეთოდიკა“; „სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები“; „პირველადი (გადაუდებელი) სამედიცინო დახმარება“; მეთოდური ტრენინგი მუსიკის მასწავლებლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების დირექტორებისათვის.

**✓ ევროპის პროფკავშირების განათლების კომიტეტის – ETUCE, „კოვიდ-19“-თან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაში, ნათქვამია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების დროე-**

## ინტერვიუ მაია კობახიძესთან

**ბითი დახურვა ერთ-ერთი გამოსავალია, თუმცა, დაცული უნდა იყოს დასაქმებულთა ინტერესები და თავიდან იქნეს აცილებული მათდამი არასამართლიანი მიდგომები. არსებულ სიტუაციაში პედაგოგების მიმართ რაიმე სახის გადაცდომას ხომ არ ჰქონია ადგილი.**

⇨ დისტანციური სწავლება სიახლე და გარკვეული სტრესია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. მიუხედავად ამისა, მასწავლებლებს არ მოუმართავთ რაიმე გადაცდომის თაობაზე, გარდა ერთი შემთხვევისა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოითში გათავისუფლდა პედაგოგი და მივმართეთ სასამართლოს.

**✓ პანდემიის პერიოდში, თუ მიმართავენ პედაგოგები დახმარებისთვის განათლების პროფკავშირის იურისტს და, ძირითადათ, რა საკითხებზე?**

⇨ პანდემიის პერიოდში, სამართლებრივი დახმარების მიღების მსურველი პედაგოგების მომართვიანობა გრძელდება. შეიცვალა მუშაობის ფორმა. უშუალო შეხვედრები ჩაანაცვლა დისტანციურმა კომუნიკაციამ, ძირითადად, ტელეფონისა და ინტერნეტის მეშვეობით.

ბოლო პერიოდში, სპმთპ-ს იურიდიული დეპარტამენტი არა მხოლოდ ზეპირ, სატელეფონო კონსულტაციებს გასცემს, არამედ შეუფერხებლად აგრძელებს სასამართლოში წარსადგენი სარჩელებისა და საჩივრების მომზადებას.

როგორც გითხარით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოითში გათავისუფლდა პედაგოგი, რომელიც ტელეფონით დაუკავშირდა ჩვენს იურისტს და ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოგვაწოდა ყველა საჭირო დოკუმენტი, რის საფუძველზეც მომზადდა სარჩელი.

პანდემიის პერიოდში გრძელდება ადრე დაწყებული სასამართლო პროცესებიც. საქმე ეხება მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესა და 3 გათავისუფლებულ პედაგოგს შორის არსებულ დავას, სადაც მასწავლებლების ინტერესებს სპმთპ-ს იურისტი იცავდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ სამივე პედაგოგის გათავისუფლება უკანონოდ სცნო, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა დამსაქმებელმა. სწორედ აღნიშნული საჩივრის საპასუხოდ, კანონით დადგენილ ვადებში, სპმთპ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, გრიგოლ ბაკურაძემ მოამზადა შესაგებელი და უშუალოდ მის მიერ შეტანილი იქნა სასამართლოში.

გარდა ამისა, ამავე პერიოდში, მომზადდა კიდევ ერთი საჩივარი. კერძოდ, თბილისის 167-ე საჯარო სკოლიდან გათავისუფლებული მასწავლებლის, ნარგიზა კიკვიძის საქმეზე, რომლის ინტერესებს იცავდნენ სპმთპ-ს იურისტები. პირველი ინსტანციის სასამართლომ ქალბატონი ნარგიზას გათავისუფლება უკანონოდ სცნო და სკოლას დააკისრა კომპენსაციის – 5000 ლარის გადახდა პედაგოგის სასარგებლოდ. ვინაიდან მივიჩნიეთ, რომ ქალბატონი ნარგიზასთვის მიყენებული ფინანსური ზიანი ბევრად მეტია, ამ კონკრეტულ ნაწილში, მოხდა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრება.

**✓ ხომ არ მოუმართავთ დახმარებისთვის პედაგოგებს, რომლებსაც წამყვანის სტატუსის მისაღებად გარე დაკვირვების მხოლოდ ერთი გაკვეთილი ჰქონდათ დარჩენილი და ელოდნენ გარკვეულ შეღავათს, თუმცა მინისტრის ბრძანებით, მათი სტატუსის ამაღლება მომავალი სასწავლო წლისთვის გადაიდო.**

⇨ ბევრი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია იმის თაობაზე, რომ მასწავლებელთა მომართვის გარეშეც, სპმთპ, ყოველდღიურ რეჟიმში, მუშაობს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების იმ რეგულაციებზე, რომელიც ბუნდოვანია და იწვევს პედაგოგთა უფლებების შელახვას. რაც შეეხება გარე დაკვირვების შეფერხებას, საქმის კურსში ჩაგვაყენეს ჩვენმა აქტიურმა წევრებმა და წერილობითაც მოგვმართეს.

ის პედაგოგები, რომელთაც გარე დაკვირვებაზე რეგისტრაცია გაიარეს 2019-2020 აკადემიური წლის პირველ სემესტრში, გამოთქვამენ უკმაყოფილებას გარე დაკვირვების პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით.

მასწავლებლების ნაწილი, სექტემბრიდან სტატუსის ამაღლების მოტივით, ითხოვს გარე დაკვირვების ალტერნატიულ გზებს. გამოჩნდნენ ისეთი პედაგოგებიც და მათი გულშემატკივრებიც, რომლებიც აყენებენ არარეალურ მოთხოვნებს, კერძოდ, „გარე დაკვირვების გავლის გარეშე სტატუსის ამაღლებას“, „წამყვანის სტატუსის მინიჭებამდე, სექტემბრიდან წამყვანის დანამატის გაცემას“, გარე დაკვირვების სავალდებულო აქტივობის გავლის ნაცვლად, გარე დაკვირვებისათვის ატვირთული 5 გაკვეთილის გეგმის შეფასებას“ და სხვა. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ერთეული პედაგოგები ჩვენგან ითხოვენ ზემოხსენებული მოთხოვნების უპირობო მხარდაჭერას და გამოთქვამენ კრიტიკას მთლიანად პროფკავშირის საქმიანობის მიმართ. პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირისთვის მიუღებელია, COVID 19-თან დაკავშირებით, ქვეყანაში და მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობის ფონზე, განათლების სამინისტროს დადანაშაულება, გარე დაკვირვების პროცესის შეჩერების თაობაზე.

კორონავირუსმა არაერთი გამოწვევის და პრობლემის წინაშე დააყენა განათლების სისტემა, მათ შორის, პედაგოგთა კარიერული წინსვლისათვის სავალდებულო აქტივობების ორგანიზება-წარმართვის პროცესი — გარე დაკვირვების სავალდებულო აქტივობაც, პედაგოგთა კომპეტენციების დადასტურების გამოცდების ჩატარება და სხვა. ჩვენ ვაანალიზებდით შექმნილ მდგომარეობას და ვეძებდით გზებს, პრობლემების გადასაჭრელად.

მთავრდება საგანგებო მდგომარეობა და მიგვაჩნია, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უნდა დაიწყოს შექმნილი პრობლემების გადაწყვეტისათვის მექანიზმების შემუშავება.

**პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირმა ჩამოვაყალიბეთ რამდენიმე კონკრეტული წინადადება, რომლითაც მივმართავთ განათლების სამინისტროს:**

1. შეიცვალოს დამკვიდრებული პრაქტიკა, წელიწადში 2-ჯერ, სტატუსის მინიჭების თაობაზე. იმ პედაგოგებისათვის, რომელთაც ყველა სავალდებულო აქტივობა განახორციელეს, დაავროვეს სქემით განსაზღვრული კრედიტქულები, სკოლამ გაიარა ყველა შესაბამისი პროცედურა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება, სტატუსის მინიჭების თაობაზე, გამოიცეს ყოველი თვის 10 რიცხვამდე;

2. გამომდინარე იქიდან, რომ უარყოფითი პროგნოზები კეთდება კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით, სექტემბრიდან სკოლების გახსნის თაობაზე, განათლების სამინისტროს სპეციალურმა კომისიამ დაიწყოს მუშაობა, რა ფორმით განხორციელდება გარე დაკვირვების აქტივობა, თუ ვერ ამოქმედდებიან სკოლები ჩვეულ რეჟიმში;

3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საგაკვეთილო პროცესის სექტემბრიდან განახლების შემთხვევაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა დაჩქარებული წესით განახორციელოს გარე დაკვირვება, მასწავლებელთა რეგისტრაციის და მიმდინარე წლის 2 მარტიდან დადგენილი გრაფიკის რიგითობის პრინციპის მკაცრი დაცვით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წინადადებები გავაცანით მასწავლებლებს, სოციალურ ქსელებში კვლავ გამოჩნდა პედაგოგთა ახალი მოთხოვნები, „გარე დაკვირვების სავალდებულო აქტივობის ნაცვლად, ელექტრონულ სისტემაში ატვირთული 5 გაკვეთილის გეგმის საფუძველზე შედგეს გასაუბრება მასწავლებელთან“, რაც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს.

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის თანახმად, გარე დაკვირვება არის, საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად წარმართვის შემოწმების მიზნით, უფროსი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე დაკვირვება, შესაბამისად, გეგმების შეფასება ან გეგმების საფუძველზე გასაუბრება ვერ იქნება გარე დაკვირვების სავალდებულო აქტივობა.

ესაუბრა **მაკა ყიფიანი**

## ინფორმაცია

# ესეების კონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდნენ

პირველ ივნისს ევროპის საბჭოს ოფისმა საქართველოში მოსწავლეთა ესეების კონკურსის ფარგლებში წარდგენილი საუკეთესო ნამუშევრების, მრავალფეროვნებასა და თანასწორობაზე საქართველოში, ავტორები დაასახელა. პირველი ადგილის მფლობელს, მასწავლებლების თანხლებით, ევროპის საბჭოში (სტრასბურგი, საფრანგეთი) ვიზიტის შესაძლებლობა ექნება, ასევე, სხვადასხვა პრიზი გადაეცემათ სხვა გამარჯვებულებსაც.

დაჯილდოების ცერემონია ონლაინ ჩატარდა. ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებმა გამარჯვებულებს წარმატება მიულოცეს. ღონისძიების დროს, პოეტმა, რატი ამაღლობელმა, ქართულ ლიტერატურაში თანასწორობისა და მრავალფეროვნების მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა.

ესეების კონკურსში მონაწილე 15-18 წლის მოსწავლეებმა თავიანთი მოსაზრებები დაწერეს მრავალფეროვნებისა და თანასწორობის შესახებ დღევანდელ საქართველოში ან/და საქართველოს ისტორიაში, ლიტერატურასა და კულტურაში.

მასწავლებლებისთვის განკუთვნილი დამატებითი ინფორმაცია ევროპის საბჭოს მიერ შემოთავაზებულ, თანასწორობისა და მრავალფეროვნების შესახებ დისკუსიის წარმართვის სხვადასხვა აქტივობას მოიცავდა.

*„რა არის თანასწორობა და მრავალფეროვნება?*

*თანასწორობა და მრავალფეროვნება განსხვავებული ადამიანების ხელშეწყობასა და მიმღებლობას გულისხმობს. უფრო კონკრეტულად, თანასწორობის არსი იმაში გამოიხატება, რომ ყველა ადამიანის მიმართ, მიუხედავად მისი ეთნიკური/ეროვნული წარმომავლობისა, კანის ფერისა, მოქალაქეობისა, რელიგიისა, ენისა, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა, მოვეპყრათ სამართლიანად და თანასწორად. მრავალფეროვნება ამ განსხვავებულობათა აღიარება და პატივისცემაა, ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით.*

*განათლების სფეროში თანასწორობისა და მრავალფეროვნების იდეის პოპულარიზაცია მნიშვნელოვანია როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეებისთვის. მთავარი მიზანია საკლასო ოთახში შეიქმნას გარემო, სადაც მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ადამიანები თავიანთი ინდივიდუალური თავისებურებების წყალობით უნიკალურები არიან და არა „სხვანაირები“, ამ სიტყვის უარყოფითი გაგებით.“* – ვკითხულობთ კონკურსის მიზნებში.



ნამუშევრები შეფასდა ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის წარმომადგენლობითი ჯგუფის, ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივმოქმედი წარმომადგენლობის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, პარლამენტის წევრებისა და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ. საერთო ჯამში, 400-ზე მეტი ესე იყო წარმოდგენილი, საქართველოს მასშტაბით, რომელთაგან საუკეთესო ათეული შეირჩა გამოსაცემად.

გამარჯვებული ნაშრომების ავტორები არიან:

1. **ბერდია ალხიძე**, სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღების საჯარო სკოლა;
2. **თამარი ხვთისიაშვილი**, სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხის საჯარო სკოლა;
3. **ილია დავითაძე**, სსიპ ბათუმის №2 საჯარო სკოლა;
4. **ელენე დოლიძე**, სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქობულეთის №3 საჯარო სკოლა;
5. **ქეთი გიგინეიშვილი**, სსიპ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის თბილისის №42 საჯარო სკოლა;
6. **თინა თურმანიძე**, სსიპ ბათუმის №8 საჯარო სკოლა;




7. **გიორგი ფარასტაევი**, სსიპ გორის №7 საჯარო სკოლა;
8. **სალომე გუბელაძე**, შპს მეექვსე საავტორო სკოლა;
9. **მანანა ბერაია**, სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ საჭამიასერის საჯარო სკოლა;
10. **ქრისტინა ქარჩავა**, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №1 საჯარო სკოლა.

ესეს თემა იყო – *მე ვირჩევ თანასწორობას, იმიტომ, რომ...?*

მოსწავლეებს თემა უნდა განევითარებინათ დღევანდელ საქართველოში თანასწორობისა და მრავალფეროვნების მნიშვნელობის ირგვლივ, პირად გამოცდილებასა და თვალსაზრისზე ან/და საქართველოს ისტორიაზე, ლიტერატურასა და კულტურაზე დაყრდნობით; ესეს მაქსიმალური მოცულობა – 1000 სიტყვა. 10 საუკეთესო თემა დამუშავდა კრებულად, სკოლები და ავტორები მიიღებენ გამოცემის ასლებს.

*მოსწავლეების ესეების კრებული „რატომ ვირჩევ თანასწორობას?“ ხელმისაწვდომია ა.*

*კონკურსი ჩატარდა საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობის ეგიდითა და „ კამპანიის ფარგლებში. კამპანია ხორციელდება ევროპის საბჭოს პროექტის „ მიერ, ე ქვეშ, დ მხარდაჭერით.*

მოამზადა **ლალი თვალაბეიშვილმა**

# რას ნიშნავს იყო კარგი საგანმანათლებლო ლიდერი – გაიცანით სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის ფინალისტები



**შორენა ხუხუა**
ქალაქ მარნეულის N2 საჯარო სკოლის დირექტორი

◆◆ მარტვილის მთიან სოფელში გავიზარდე, მასწავლებლების ოჯახში. მასწავლებლების შვილი, დისშვილი, ძმისშვილი და შვილიშვილი ვარ. მამა დირექტორი იყო, ბიძაც, ბაბუაც. ფინალისტი რომ გავხდი, ყველა ჩემი მასწავლებელი გამახსენდა და ოჯახის წევრი პედაგოგი. გამიხარდა, რომ მარნეულის არაქართულენოვანი სკოლის დირექტორი ქართულენოვანი სკოლის დირექტორების გვერდით მოვხვდი, რადგან ჩვენ განსხვავებულ რეალობაში გვიწევს მუშაობა. მარნეულს საქართველოს გულს ვეძახი, ის ძლიერი პულსაციით ფეთქავს, საკმაოდ რთული მუნიციპალიტეტია, სადაც განსხვავებულ პრობლემებთან გიწევს შეხება. ისე ამაყობენ ჩემი ბავშვები, მშობლები და მასწავლებლები.

◆◆ მონაწილეობის მიღება მარტო მე არ გადამიწყვეტია, სკოლის მმართველი გუნდის რჩევები გავითვალისწინე. ჟიურიმ რატომ გამომარჩია? ალბათ, მას ეცოდინება. აპლიკაციაში ინტეგრაცია, ინკლუზიური განათლება, გენდერი, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება – ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობები და პროექტები მქონდა ხაზგასმული. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონისთვის ეს წარმატება. ვისურვებდი, შემდეგ წელს ბევრმა მიიღოს მონაწილეობა, რომ უფრო მეტი შემადგენლობით გამოჩნდეს ჩვენი რეგიონის სკოლები კონკურსებში.

◆◆ ამ კონკურსმა აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ლიდერის როლი საგანმანათლებლო სისტემაში და გამოავლინა აქტიური ხელმძღვანელები. შესაბამისად, მეტ სტიმულს მისცემს სკოლის დირექტორებს. დარწმუნებული ვარ, შემდეგ წლებში ძალიან ბევრ კარგ ლიდერს ვიხილავთ. განათლების სისტემას ჰყავს უამრავი პროფესიონალი, რომელსაც მეტი პოპულარიზაცია სჭირდება.



**ვარდენ ნიქაბაძე**
მამია ფანცულაიას სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის N2 საჯარო სკოლის დირექტორი

◆◆ ფინალისტობა – ეს იყო უდიდესი სიხარული. დირექტორს, მუშაობის პერიოდში, ძალიან ბევრი გადაწყვეტილების მიღება უწევს. ეს ეხება ბევრ ადამიანს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, თითოეული გადაწყვეტილება, ამა თუ იმ ფორმით, ყველა შემთხვევაში, აისახება მოსწავლეებზე. შემდგომში ყოველთვის აფასებ და ფიქრობ, ამ გადაწყვეტილებებმა რა შედეგები მოიტანა. ზოგჯერ შედეგები ცხადია და წინასწარაც შეიძლება განჭვრიტო, ზოგჯერ კი პირიქით. გარე აღიარება არის ერთ-ერთი ინდიკატორია იმისა, რომ, საერთო ჯამში, სწორი მიმართულებით გვივლია.

◆◆ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, სასკოლო განათლების სისტემა მუდმივი დაღვინების პროცესშია. ბევრი სასარგებლო სიახლე დაინერგა და გამოიცადა. თითქოს ბევრი ვისწავლეთ, მაგრამ ყველაფრის დალაგება, ქართულ რეალობაზე უფრო მეტად მორგება სჭირდება. ასეთ ტურბულენტურ ვითარებაში უწევს სკოლებს მუშაობა და ძალისხმევის გაწევა. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია ამ საქმიანობის დაფასება, აღიარება და საზოგადოებისთვის კარგი მაგალითების ჩვენება. ეს გამოიწვევს საზოგადოების მეტ დაინტერესებას და ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. იმედი მაქვს, მათ შორის, ბევრ ნიჭიერ და საინტერესო ახალგაზრდას უბიძგებს, თავი გამოსცადოს განათლების სფეროში.

◆◆ პირველი, რაც ამ კონკურსს გამოარჩევს, ისაა, რომ გამარჯვების შემთხვევაში დირექტორს საშუალება ეძლევა, მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელოს სკოლაში. პირადად მე, დიდი სიამოვნებით ავასრულებდი დიდი ხნის ოცნებას – სკოლის სმარტ დაფებით აღჭურვასა და, კოლექტივთან ერთად, ონლაინ სასწავლო კურსების შექმნას.

◆◆ არ დავმალავ, იყვნენ ადამიანები, რომლებმაც მიბიძგეს კონკურსში მონაწილეობისკენ. არ დავმალავ იმასაც, რომ ძალიან გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება და საკონკურსო განაცხადი ბოლო წუთებში გადავაგზავნე. თუმცა, ვფიქრობ, საინტერესო იქნება გარეშე თვალით დანახული და შეფასებული სკოლის საქმიანობა.

◆◆ ცხადია, ზუსტად არ ვიცი, რა მოსაზრებებით იხელმძღვანელა ჟიურიმ, მაგრამ ვფიქრობ, წლების განმავლობაში, კოლექტივის თანადგომით და მხარდაჭერით (რისთვისაც მათ განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო), ჩვენს პატარა სკოლაში ძალიან ბევრი სიახლე დაინერგა. თუნდაც ის, რომ დისტანციური სწავლების ელემენტების დანერგვა ჯერ კიდევ წლების წინ დავიწყეთ. დავნერგეთ და რამდენჯერმე განვახორციელეთ, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, სკოლის ფოკუსირებული თვითშეფასება, ელექტრონულ ინსტრუმენტებზე დაფუძნებული გაკვეთილების შიდა შეფასების სისტემა, "მოსწავლის ქოუჩინგი" და სხვა მრავალი სიახლე.



**მამუკა ხამხაძე**
ქალაქ რუსთავის N4 საჯარო სკოლის დირექტორი

◆◆ უკვე 27 წელია, მასწავლებელი ვარ და კარგად ვიცი, რამხელა შრომაა საჭირო მოსწავლესთან წარმატების მისაღწევად, მით უმეტეს, ისეთ უზარმაზარ სკოლაში, როგორიც რუსთავის მე-4 სკოლაა (1700-ზე მეტი მოსწავლე სწავლობს). სკოლის დირექტორის, როგორც საგანმანათლებლო ლიდერის წარმატება, უპირველესად, მასწავლებელთა შრომის აღიარებაა. ამიტომ, ჩემი ემოცია უკავშირდება მე-4 სკოლის მასწავლებლებს, რომლებიც უკვე წლების ქმნიან ამ წარმატებას. როცა წარმატებულთა შორის ხარ, გაცილებით მაღალია პასუხისმგებლობისა და მოვალეობის განცდა შენი კოლეგებისა და მოსწავლეების, მთელი საზოგადოების წინაშე. ასე რომ, ჩემთვის წარმატება უპირველესად პასუხისმგებლობას უფრო უკავშირდება და მერე – სიხარულს.

◆◆ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასკოლო განათლების სისტემას. სკოლა ის ადგილია, სადაც წყდება საკითხი, თუ როგორ ქვეყანაში ვიცხოვრებთ ხვალ, ჩვენ, ყველანი ერთად. მასწავლებელს უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია აღსაზრდელზე. დირექტორი კი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის წარმმართველია. ამიტომაც, მასწავლებლებთან ერთად, სკოლის ლიდერების სათანადოდ დაფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის სწორი ორიენტირების ჩამოსაყალიბებლად. დირექტორებმა უნდა იცოდნენ, რომ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ და უნდა იგრძნონ შესაბამისი მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეებში, მშობლებსა და მასწავლებლებში სკოლის მიმართ სწორი მოლოდინების დასახვას და ადეკვატური განწყობების შექმნას. დღეს ჩვენი საზოგადოება ნაკლებად იცნობს სკოლაში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებს, რადგან ნაკლებად ხდება შესაბამისი აქცენტირება. სკოლის – მასწავლებლისა და დირექტორის მაღალი ავტორიტეტი ნიშნავს საზოგადოების მაღალი ნდობის ხარისხს სკოლის მიმართ. ეს კონკურსი სწორედ იმით არის ღირებული, რომ სკოლის ავტორიტეტის ამაღლებას ემსახურება, კონკურსი ხელს უწყობს იმას, რომ საზოგადოებამ რეალურად დაინახოს სკოლის წინაშე მდგარი გამოწვევებიც და მიღწევებიც.

◆◆ დღეს სკოლის დირექტორობა ურთულესი საქმეა და სკოლის ხელმძღვანელები, ხშირ შემთხვევაში, გმირები არიან, რადგან ყველა იმ გამოწვევას უმკლავდებიან, რომელთა წინაშეც მთელი ჩვენი საზოგადოება და სახელმწიფო დგას. ამიტომაც, დიდ მადლობას ვუხდი კონკურსის ორგანიზატორებს. იმედი მაქვს, სკოლის, მასწავლებლისა და დირექტორის საქმიანობის პოპულარიზაციის დაწყებული ტენდენცია შეუქცევადი გახდება და სისტემურ ხასიათს მიიღებს.

◆◆ ორი სიტყვით მინდა გითხრათ, თუ რამ გადამაწყვეტინა კონკურსში მონაწილეობა. 13 წელია, რაც რუსთავის მე-4 სკოლის დირექტორი ვარ და, ამ ხნის განმავლობაში, დიდი და საინტერესო გამოცდილება დამიგროვდა, რადგან ჩემს ხელში გაიარა სასკოლო სისტემის რეფორმირების ტალღებმა. წლების მანძილზე, ჩემს კოლეგებთან ერთად, არაერთ წარმატებას მივაღწიეთ და ჩავთვალე, რომ საინტერესო იქნება ამ გამოცდილების გაზიარება. განათლების სისტემის განვითარება, პოზიტიური გამოცდილების გაზიარებისა და საზოგადოებასთან დიალოგის გარეშე, წარმოუდგენელია. ეს კონკურსი ასეთი დიალოგის შესაძლებლობას ქმნის როგორც საზოგადოებასთან, ისე სასკოლო სისტემის შიგნით. ვფიქრობ, კომისიამ დაინახა ჩემი განწყობა და მცდელობა, ჩემი წვლილი შევიტანო სკოლის რეფორმირების პროცესში. წარმატებას ვუსურვებ ჩემს კოლეგებს, ყველა მონაწილეს, რომლებმაც დიდი და რთული გზა გაიარეს, ვიდრე ათეულში მოხვდებოდნენ.

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი